140
1982

ISSN [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ЗНАК ПОЧЕТА

# პიონერი

10
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩ ლენინელთა
# საკავშირო მარშის პროგრამა



მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

**პიონერო!**

1982 წლის 19 მაისი სამუდამოდ შევა პიონერიის სახელოვან ისტორიაში: ამ საზეიმო დღეს, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 60 წლისთავზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისალმებით მიმართა ჩვენი ქვეყნის ყველა პიონერს და მაღალი პარტიული შეფასება მისცა პიონერული ორგანიზაციის მუშაობას. ყველა რაზმსა და რაზმეულს მოეფინა სასიხარულო ცნობა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელი დროშით პიონერული ორგანიზაციის დაჯილდოების შესახებ.

პიონერო!

გაუფრთხილდი და იამაყე შენი მშობლიური პიონერული ორგანიზაციით!

იყავ სამშობლოს, პარტიის, კომკავშირის მაღალი ნდობის ღირსი!

იყავ მზად, ღირსეულად შეასრულო განაწესი, რომელიც მიეცა ჩვენი ქვეყნის პიონერებს ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებაში! გაიზარდე კომუნისტური იდეალებისათვის მგზნებარე მებრძოლად, პატრიოტ-ინტერნაციონალისტად, შენი ქვეყნის შრომისმოყვარე, მცოდნე, ყაირათიან ბატონ-პატრონად, ნამდვილ საბჭოთა ადამიანად!

სკკპ XXVI ყრილობისა და კომკავშირის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში საკუთარი პიონერული წვლილი რომ შეიტანო, ამაში შენ და შენს რაზმს **ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშში** დაგეხმარებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარშში აქტიური მონაწილეობით შენ ღირსეულად დაამტკიცებ საზეიმო დაპირებისა და პიონერული კანონების ერთგულებას — იცხოვრო, ისწავლო და იბრძოლო ისე, როგორც დიდმა ლენინმა გვიანდერძა, როგორც კომუნისტური პარტია გვასწავლის.

მარში გაგიძღვება შენ და შენს რაზმს ერთი **სიმაღლიდან** მეორისაკენ:

პირველ სიმაღლეს იპყრობენ მესამე-მეოთხეკლასელი პიონერები;

მეორეს — მეხუთე-მეექვსეკლასელი პიონერები;

მესამეს — მეშვიდე-მერვეკლასელი პიონერები;

ამ სიმაღლეთა თანამიმდევრობით დაძლევის კვალდაკვალ შენი რაზმი უნდა გახდეს უფრო მეგობრული, დამოუკიდებელი, ორგანიზებული, ხოლო ყოველი პიონერი — უფრო უკეთესი აზრით, საქმით, ქცევით.

დაე, ამ სიმაღლეებისაკენ მიმავალ გზაზე შენი დევიზები იყოს:

**„პიონერული სიტყვა“. „პიონერული საქმე“. „პიონერული ღირსება“.**

**პიონერული სიტყვა.** პიონერულ სიტყვას იძლევა მთელი რაზმი თავის შეკრებაზე. მასში აღნიშნულია, თუ რისკენ ისწრაფვის რაზმი და როგორ აპირებს მოქმედებას მარშის მარშრუტების გასავლელად, თავისი სიმაღლის დასაპყრობად.

**პიონერული საქმე.** პიონერული საქმეები გელოდება მარშის მარშრუტებზე: „პიონერები — სამშობლოს“, „პიონერები — პატრიოტ-ინტერნაციონალისტები“, „პიონერები — კომკავშირის ცვლა“, „პიონერები — ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი“, „პიონერები — მშვენიერების მეგობრები“.

**პიონერული ღირსება.** განსაკუთრებული პატივი მიეგებათ იმ პიონერებსა და რაზმებს, რომელთა სიტყვა და საქმე ერთია. ამას დაადგენს პიონერული შემოწმება სასწავლო წლის ბოლოს. შემოწმება გამოავლენს მარშის აქტიურ მონაწილეებს, მარჯვენაფლანგელ რგოლებს, რაზმებსა და რაზმეულებს.

**მარშის აქტიური მონაწილე.** ამ წოდებას ანიჭებს რგოლის, რაზმის შეკრება იმ პიონერებს, რომელთაც დაიმსახურეს პატივისცემა: კეთილსინდისიერად სწავლობენ, პასუხისმგებლობით ეკიდებიან დავალებებს, აქტიურობენ პიონერულ საქმეებში. ისინი ჯილდოვდებიან ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სამკერდე ნიშნით „აქტიური მუშაობისათვის“. მათ სურათს უღებენ რაზმეულის გაშლილ დროშასთან, აღნიშნავენ პიონერული ორგანიზაციის საბჭოების ჯილდოებით.

**„მარჯვენაფლანგელი რგოლი“.** ამ წოდებას ანიჭებს რაზმის შეკრება ბავშვების მეგობრულ კოლექტივს, რომელიც ასრულებს ყველა დავალებას, იჩენს თაოსნობას, ზრუნავს თითოეულ პიონერზე; ამ რგოლის პიონერთა უმეტესობა მარშის აქტიური მონაწილეა. ასეთ კოლექტივს გადაეცემა ვიმპელი „მარჯვენაფლანგელ რგოლს“.

**„მარჯვენაფლანგელი რაზმი“.** ეს წოდება რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება რაზმს, რომლის ყველა პიონერმა წარმატებით მიაღწია დასახულ სიმაღლეს, კეთილსინდისიერად სწავლობს, რგოლების უმეტესობა მარჯვენაფლანგელია, იზრდება იმ პიონერთა რიცხვი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მარშში. ეს რაზმი რაზმეულში ახალი საქმეების მოთავეა, გულუხვად უზიარებს თავის გამოცდილებას სხვა რაზმებს, ეხმარება მათ მარშის სვლაგეზებზე. ასეთი რაზმის ალამზე ამაგრებენ ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს საპატიო ლენტს.

**„მარჯვენაფლანგელი რაზმეული“.** ამ წოდებას პიონერული ორგანიზაციის საქალაქო (რაიონული) საბჭო ანიჭებს რაზმეულს, რომელშიც რაზმების უმეტესობა მარჯვენაფლანგელია და რომელიც ქალაქში (რაიონში) თავისი საინტერესო წამოწყებებით, საქმეებითა და კეთილი ტრადიციით არის ცნობილი. ასეთი რაზმეულის დროშაზე მაგრდება საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს საპატიო ლენტი.

## მარშის ეტაპები:

1982—1983 წ. წ. მარში ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. დევიზი: „ლენინური მეგობრობით ვართ ძლიერნი!“

1983—1984 წ. წ. მარში ეძღვნება კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 60 წლისთავს. დევიზი: „ლენინის სახელი ყველა ჩვენგანის გულშია! პარტიის ერთგულებას საქმით დავამტკიცებთ!“

1984—1985 წ. წ. მარში ეძღვნება სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს. დევიზი: „სალუტ, გამარჯვებავ!“

## შენი რაზმი იღებს 1 პირველ სიმაღლეს.

## იძლევა პიონერულ სიტყვას:

(მაგალითად)

ჩვენ, მესამე (მეოთხე) კლასელი პიონერები, სიტყვას ვიძლევით, რომ მეგობრულად ჩავებმებით მარშში და ავიღებთ პირველ სიმაღლეს.

მივაღწევთ იმას, რომ ჩვენმა რაზმმა ატაროს გმირის სახელი. (სახელი, რომელიც აირჩია რაზმმა), მისი ცხოვრება და გმირობა მაგალითი გახდება ჩვენთვის, ვისწავლით ცხოვრებას პიონერულად — რგოლში, რაზმში ყველაფერს გავაკეთებთ ორგანიზებულად და მეგობრულად: ერთად შევადგენთ ჩვენი ცხოვრების გეგმას და ერთადვე შევასრულებთ, ერთად შევაფასებთ ჩვენს საქმეებს, ერთად დავადგენთ, ვინ დაწინაურდა;

— დავეხმარებით უფროსებს შინ და სკოლაში;

— ვიქნებით მეგობრული და ყურადღებიანი ერთმანეთის მიმართ, ყოველთვის მივეშველებით სხვას გასაჭირში, დავიცავთ სუსტსა და პატარას.

— ვიქნებით გაბედულნი და მართალნი, ვისწავლით საკუთარი შეცდომების აღიარებას, სიმხდალისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ გალაშქრებას.

**სიტყვის ერთგულება საქმით დაამტკიცე!**



მარშრუტზე:

„პიონერები — სამშობლოს“

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
პიონერი
10 ოქტომბერი 1982
საქ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

გახსოვდეთ: თქვენ იმ მიწა-წყლის შვილები ხართ, რომელზეც იშვა მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი. იამაყეთ იმით, რომ თქვენ მისი თანამემამულენი ხართ. წიგნებით, კინოსურათებით, უფროსების ნაამბობით გაეცანით ვ. ი. ლენინისა და მის თანამებრძოლ რევოლუციონერთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მასწავლებლის დახმარებით გააფორმეთ ლენინის კუთხე, მოაწყვეთ დაუსწრებელი მოგზაურობა სსრ კავშირის ლენინურ ადგილებში, შეხვედრები ადამიანებთან, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან ლენინის ორდენით.

რაზმის შეკრებებზე, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრებზე შეისწავლეთ, თუ როგორ მოახდინა ჩვენმა ხალხმა რევოლუცია პარტიის ხელმძღვანელობით, როგორ გაიმარჯვა სამოქალაქო და დიდ სამამულო ომებში, ვ. ი. ლენინის ანდერძით ააშენა სოციალიზმი და აშენებს კომუნიზმს.

მასწავლებლისა და პიონერხელმძღვანელის დახმარებით გაეცანით ადგილებს გამოჩენილი კომუნისტ-ლენინელის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებიდან: „მოგონებები“, „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“.

პიონერული ჟურნალ-გაზეთების მასალებით გაეცანით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის შესახებ.

**სამშობლოს ერთგულება წარჩინებული და კარგი სწავლით დაამტკიცეთ:** სწავლა — პიონერის მთავარი საქმეა. იზრუნეთ იმაზე, რომ არც ერთმა თქვენმა თანაკლასელმა მეცადინეობა უმიზეზოდ არ გააცდინოს. მოაწყვეთ ამხანაგური ურთიერთდახმარება სწავლაში. ჩაატარეთ სახელმძღვანელოების მოვლის დათვალიერებები. დაინტერესდით, ვინ რას და როგორ კითხულობს, ყველანი დადიან თუ არა ბიბლიოთეკაში, ჩაბმულნი არიან თუ არა საგნობრივსა და ტექნიკურ წრეებში. ჩაატარეთ სარაზმო ოლიმპიადები, კონკურსები, ვიქტორინები, ტურნირები, გამოფენები. მასწავლებელთან და პიონერხელმძღვანელთან ერთად წაიკითხეთ წიგნები რელიგიის მავნებლობაზე, ებრძოლეთ ცრურწმენას პიონერებსა და ოქტომბრელებს შორის.

**დაეხმარეთ უფროსებს შრომაში.** გაეცანით თქვენი რაზმეულის პიონერული მოქმედების ზონას (პმზ). განსაზღვრეთ ასეთივე ზონა რაზმში. ჩაატარეთ სასარგებლო საქმეების დაზვერვა, განიხილეთ და გადაწყვიტეთ, როგორ მონაწილეობას მიიღებთ პიონერული შრომითი საქმეების საკავშირო ხუთწლედის ოპერაციებში: „ურენგოი“, „მილიონი სამშობლოს“, „სამშობლოს მწვანე სამოსი“, „პიონერული ფერმა“, „მარცვალი“, „მწვანე აფთიაქი“. ჩაერთეთ „ყაირათიანთა ლაშქრობაში“: გაუფრთხილდით პურს, ყურადღება მიაქციეთ, რომ ტყუილუბრალოდ არ ენთოს ელექტროსინათლე, არ იღვრებოდეს წყალი, გაუფრთხილდით სასკოლო ინვენტარს; მონაწილეობა მიიღეთ ოპერაციაში „იცოცხლე, წიგნო!“ დაიცავით მწვანე ნარგავები, იზრუნეთ ფრინველებზე, ცხოველებზე, თევზებზე: გახდით „მწვანე“ და „ცისფერ“ პატრულთა რაზმების წევრები. გაეცანით მშობლების პროფესიასა და შრომას. დაეხმარეთ მათ საოჯახო საქმეში: გაშალეთ სუფრა, გარეცხეთ ჭურჭელი, დაალაგეთ ოთახი, მოუარეთ შინაურ ცხოველებს, იმუშავეთ ბაღ-ბოსტანში. შეგეძლოთ საკუთარი თავის მოვლა.



მარშრუტზე:

**„პიონერები — პატრიოტ-ინტერნაციონალისტები“**

**ჩაერთეთ პიონერ-მოსწავლეთა ექსპედიციაში „ჩემი სამშობლოა სსრ კავშირი“.**

მოაწყვეთ ლაშქრობები და ექსკურსიები ლენინურ ადგილებში, მშობლიური ქალაქის, რაიონის, სოფლის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, შეისწავლეთ და დაიცავით ისტორიული, რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ძეგლები, მშობლიური ბუნება. გაეცანით თქვენს მიწა-წყალზე მცხოვრებ რევოლუციის, ომისა და შრომის გმირებს. თქვენი სკოლის, შეფი საწარმოს, სოფლის, ქალაქის კომუნისტთა საქმეებს. თემურულ მზრუნველობას ნუ მოაკლებთ პარტიისა და კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

**განამტკიცეთ მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის ბავშვებთან.** წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით, რადიო და სატელევიზიო გადაცემებით გაეცანით 15 მოკავშირე რესპუბლიკის მოძმე ხალხთა ცხოვრებასა და კულტურას. მოაწყვეთ დაუსწრებელი მოგზაურობა სსრ კავშირის გმირ-დაქალაქში — მოსკოვში, რევოლუციის აკვანში — ლენინგრადში, გმირ ქალაქებში. კარგად შეისწავლეთ საბჭოთა კავშირის ჰიმნი, რომ შეგეძლოთ მისი შესრულება შეკრებებსა და ზეიმებზე, გაეცანით სახელმწიფო გერბისა და დროშის შექმნის ისტორიას. დაიწყეთ მიმოწერა მოძმე რესპუბლიკების პიონერებთან. წერილებში მოუთხრეთ, როგორ სწავლობთ, ცხოვრობთ, მონაწილეობთ ნორჩ ლენინელთა მარშში, უამბეთ თქვენს სოფელზე, ქალაქზე, სკოლაზე. ბეჯითად შეისწავლეთ რუსული ენა — მეგობრობისა და ძმობის ენა.

**მშვიდობისათვის ბრძოლა — ყველას საქმეა.** წაიკითხეთ და განსაჯეთ პიონერულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს, მსოფლიოს პროგრესული ძალების ბრძოლას მშვიდობისათვის, ომისა და იმპერიალიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ.

წვლილი შეიტანეთ საერთაშორისო კამპანიაში დევიზით — „ბავშვებს მშვიდობა სურთ“, რომელსაც ატარებს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციასთან (ВФДМ) არსებული ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების საერთაშორისო კომიტეტი (СИМЕА), რაზმებში ჩაატარეთ ყველა ქვეყნის მშრომელთა მშვიდობისათვის ბრძოლისა და ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი შეკრებები და საუბრები, მოაწყვეთ მშვიდობისათვის ბრძოლისა და ხალხთა მეგობრობის თემისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა. მონაწილეობა მიიღეთ რაზმეულის მიტინგებში, მანიფესტაციებში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლებთან მეგობრობისა და სოლიდარობის კვირეულებში, შაბათობებსა და კვირაობებში, რომელთა სახსრები მშვიდობის ფონდს ეგზავნება. წიგნების, ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გაეცანით სოციალისტური ქვეყნების პიონერული და ბავშვთა ორგანიზაციების საქმიანობას, კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა შვილების ცხოვრებას, ნორჩი გმირი-ანტიფაშისტების ბრძოლასა და თავდადებას. ჩაებით პიონერთა სასახლის, სახლის, სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მუშაობაში.

მარშრუტზე:

## „პიონერები — კომკავშირის ცვლა“

**პიონერული ორგანიზაციის რიგებში შესვლის პირველი დღიდანვე მტკიცედ უსწორდით თქვენს წინამძღოლს — ლენინურ კომკავშირს.** ყოველთვის იცოდეთ, როგორ ცხოვრობენ, სწავლობენ და შრომობენ თქვენი უფროსი მეგობრები — კომკავშირელები სკოლაში, წარმოებაში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში. ჩააბარეთ მათ მარშში თქვენი საქმიანობის ანგარიში, მიულოცეთ დღესასწაულები, შრომითი გამარჯვებები, სასიხარულო შემთხვევები, მოიწვიეთ თქვენ შეკრებებზე, კონკურსებზე, კოცონებზე, სპორტულ შეჯიბრებებზე. დააზუსტეთ, იყვნენ თუ არა თქვენი მშობლები, პაპები და ბებიები კომკავშირელები, რით არის საინტერესო მათი კომკავშირული ბიოგრაფია.

**შეისწავლეთ პიონერული ორგანიზაციის ისტორია, მისი ტრადიციები.** თვალი გაადევნეთ, როგორ ქმნიდა კომკავშირი ჩვენი ქვეყნის პიონერთა ორგანიზაციას, რა დროიდან და რატომ ატარებს იგი ვ. ი. ლენინის სახელს, რატომაა დაჯილდოებული სამშობლოს უმაღლესი ჯილდოებით, რა საბრძოლო და შრომითი გმირობით გაითქვეს სახელი სხვადასხვა თაობის ნორჩმა ლენინელებმა, როგორ აგრძელებენ დღეს ჩვენი ქვეყნის, მშობლიური ქალაქის, რაიონის პიონერები პიონერული დიდების მატიანეს. ისწავლეთ პიონერული ორგანიზაციის სიმბოლოებისა და ატრიბუტების გამოყენება, პიონერული რიტუალების სწორად შესრულება. განაგრძეთ ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის სამახსოვროს — „იყავ მზად!“ — შესწავლა.

**ისწავლეთ უმცროს მეგობრებზე ზრუნვა.** რაზმეულის პიონერული მოქმედების ზონაში აიღეთ შეფობა საბავშვო ბაღზე, ეზოს სკოლამდელი ასაკის პატარებზე. აქტიურად ჩაებით ოპერაციაში „პაწაწინა“. რაზმეულის საბჭოს ხელმძღვანელობით, უფროსი ასაკის პიონერებისა და ხელმძღვანელების დახმარებით თქვენს რაზმთან შექმენით ოქტომბრელთა ჯგუფი პირველკლასელებისაგან და მათთან ერთად ჩაებით მოგზაურობა-თამაშში „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში“.

მარშრუტზე:

## „პიონერები — ძლიერნი, გაბედულნი, მარდნი“

**მტკიცედ დაეუფლეთ მოთხოვნებს, მონაწილეობა მიიღეთ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დასაცავად!“** საკავშირო კომპლექსის I საფეხურის — „გაბედულნი და მარდნი“ ნორმების მომზადებასა და ჩაბარებაში. მიაღწიეთ იმას, რომ რაზმის ყოველი პიონერი იცავდეს პირად ჰიგიენას, ყოველდღიურად აკეთებდეს დილის გამამხნევებელ ვარჯიშებს, იწრთობდეს ორგანიზმს, შეეძლოს ცურვა. მასწავლებლების, მშობლების, უფროსი ასაკის პიონერების დახმარებით შეისწავლეთ დილის ვარჯიშის კომპლექსები, ითამაშეთ მოძრავი თამაშები, ერთმანეთს შეეჯიბრეთ სიმარდეში, დილაობით ირბინეთ, მიიღეთ წყლის, ჰაერისა და მზის პროცედურები: ზაფხულობით იბანავეთ, იცურავეთ, მზე მოიკიდეთ, იარეთ ფეხშიშველა, ზამთრობით — ოთახი ხშირ-ხშირად გაანიავეთ, გადაივლეთ ან ტანი დაიზილეთ ცივი წყლით.

დაეხმარეთ ამხანაგებს, რომ თითოეულმა სურვილის მიხედვით აირჩიოს სპორტული წრე ან სექცია. კომკავშირელებისა და უფროსი პიონერების ხელმძღვანელობით შეისწავლეთ ჭადრაკი, სპორტული თამაშობები, ჩამოაყალიბეთ რაზმისა და ეზოს სპორტული გუნდები, მონაწილეობა მიიღეთ თამაშებში „იმედის სტარტები“, პიონერულ ოთხჭიდში „მეგობრობა“, გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ და რადიოგაზეთ „პიონერსკაია ზორკას“ მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული კლუბების პრიზზე. მოაწყვეთ ერთდღიანი ტურისტული ლაშქრობები, დაეუფლეთ მარტივ ტურისტულ ჩვევებსა და ხერხებს.

**სამშობლოს საიმედო დამცველები სჭირდება.**

დაუმეგობრდით საბჭოთა არმიის მებრძოლებს, ყოფილ ფრონტელებს. ჩაერთეთ საბჭოთა ახალგაზრდობის, პიონერ-მოსწავლეთა ექსპედიციაში „დიდი სამამულო ომის მატიანე“. უფროსი ამხანაგების დახმარებით გაეცანით საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიას, საბრძოლო ორდენებსა და მედლებს. იქონიეთ მიმოწერა საბჭოთა არმიის რიგებში მყოფ თანამემამულეებთან, მიულოცეთ მათ 23 თებერვლის, 9 მაისის დღესასწაულები, აღნიშნეთ ეს დღესასწაულები რაზმშიც. შექმენით ნორჩ არმიელთა რაზმი. აქტიური მონაწილეობა მიიღეთ პიონერულ სამხედრო-სპორტულ თამაშ „ცისკარში“.



მარშრუტზე:

## „პიონერები — მშვენიერების მეგობრები"

ისწავლეთ მშობლიური ბუნების სილამაზის დანახვა, მიღებული შთაბეჭდილებების ნახატით, თხზულებით, ლექსით გადმოცემა. დაეუფლეთ ყვავილებისაგან თაიგულის, გამხმარი ფოთლებისაგან — პანოების შედგენის, ბუნებრივი მასალისაგან — სუვენირის ან სათამაშოს გაკეთების ხელოვნებას. მოაწყვეთ გამოფენები და შემოქმედებითი კონკურსები „ბუნება და ფანტაზია".

გაეცანით სკოლის მახლობლად მდებარე კულტურის ძეგლებს, არქიტექტურისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, თვითნასწავლი ოსტატების შემოქმედებას.

გაეცანით სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს რეპროდუქციებით, დიაპოზიტივებით, სურათების გალერეასა და მუზეუმებში. მონაწილეობა მიიღეთ ტელე (კინო) ფილმების თემატურ გასინჯვასა და განხილვაში, კოლექტიურად მოისმინეთ მუსიკა, შეისწავლეთ რევოლუციური, ფრონტული, ხალხური და პიონერული სიმღერები. განავითარეთ თქვენი ნიჭი მხატვრულ წრეებში. მოამზადეთ კონცერტები, თოჯინური სპექტაკლები ოქტომბრელებისა და სკოლამდელთათვის.

დაიცავით მშობლიური ენის სილამაზე. ნურც სხვას და ნურც საკუთარ თავს მისი დანაგვიანების ნებას ნუ მისცემთ. ერთად იკითხეთ და განიხილეთ წიგნები, მოაწყვეთ ლიტერატურული დილები.

იყავით მოხდენილნი, ფაქიზნი; საკლასო ოთახი, თქვენი სამუშაო ადგილი სკოლაში თუ შინ იქონიეთ წესრიგში, სუფთად.

## შენი რაზმი იღებს 2 მეორე სიმაღლეს.

## იძლევა პიონერულ სიტყვას:

(მაგალითად)

ჩვენ, (დაასახელეთ სახელი), სახელობის რაზმის პიონერები, პირობას ვიძლევით, განვაგრძოთ მარშის საქმეები და ავიღოთ მეორე სიმაღლე.

— ჩვენ მხარს ვუსწორებთ (გმირის სახელი), ჩვენს ცხოვრებას შევაჯერებთ მის ცხოვრებასა და გმირობასთან;

— განვამტკიცებთ და გავამრავლებთ რაზმის პიონერულ ტრადიციებს;

— გავხდებით სასარგებლო საქმეების მზვერავები. ჩვენს ძალასა და შრომას მოვახმართ ადამიანების სიკეთეს;

ვისწავლით დამოუკიდებელ და დისციპლინირებულ მოქმედებას, მეგობრულ მუშაობას, შედეგების შეჯამებას, ახალი ამოცანების დასახვას და მათი შესრულებისათვის ბრძოლას;

— ვიქნებით მეგობრობაში ერთგულნი, სიმართლის პირში მთქმელნი, არ გვეწყინება კრიტიკა, არ შევურიგდებით უხეშობას, ყოყოჩობას, სიცრუეს, ეგოიზმს და სხვა მავნე თვისებებს;

— მივაღწევთ იმას, რომ რაზმის თითოეული პიონერი იყოს მაგალითი უმცროსკლასელებისათვის, ეხმარებოდეს მათ ოქტომბრელთა განაწესის შესრულებაში.

## სიტყვის ერთგულება საქმით დაამტკიცე!

მარშრუტზე:

## „პიონერები — სამშობლოს"

**ისწავლეთ ვ. ი. ლენინისაგან სამშობლოს, თავისი ხალხის, კომუნიზმის იდეალების სამსახური.** გაიღრმავეთ და გაიფართოვეთ ცოდნა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მებრძოლი რევოლუციონერების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების შესახებ. შექმენით ნორჩ კვალმაძიებელთა ჯგუფები. მოაწყვეთ მშობლიური მხარის პირველი კომუნისტებისა და კომკავშირელების, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მებრძოლების, საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორთა, შრომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა, ხუთწლედების გვარდიელთა მიერ ლენინური ანდერძის ხორცშესხმის მასალების ძიება. უამბეთ ოქტომბრელებს მოძიებული მასალების შესახებ, მონაწილეობა მიიღეთ ლენინის ოთახის, დარბაზის, მუზეუმის ახალი ექსპოზიციის შექმნაში.

იკითხეთ თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები: „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი", „მოგონებები".

სისტემატურად გაეცანით სკკპ ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებსა და დადგენილებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის შესახებ.

**კეთილსინდისიერად ისწავლეთ — ეს ნორჩი ლენინელის მოქალაქეობრივი ვალია.** იყავით გულისხმიერნი და ყურადღებიანი, დამხმარე იმათი, ვისაც სწავლა უჭირს, მომთხოვნი — ზარმაცებისა და დაუდევართა მიმართ. ჩაებით მოძრაობაში — „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით". პიონერხელმძღვანელებისა და მასწავლებლების დახმარებით რაზმში ჩამოაყალიბეთ პიონერული სკოლა „ისწავლე სწავლა". ჩაატარეთ მცოდნეთა ტურნირები, ვიქტორინები, მონაწილეობა მიიღეთ საგნობრივ ოლიმპიადებში, საკავშირო კონკურსებში, „პიონერსკაია პრავდას", ჟურნალების „პიონერი", „იუნი ტეხნიკ", „იუნი ნატურალისტ" მიერ ორგანიზებულ ცნობისმოყვარეთა კლუბებში. ისწავლეთ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება: მონაწილეობა მიიღეთ საგნობრივი კაბინეტების მოწყობაში, დაამზადეთ თვალსაჩინოების საშუალებანი, ჩაებით ტექნიკური შემოქმედების წრეებში, ჩაატარეთ ცდები. მოსახლეობაში გაავრცელეთ და პროპაგანდა გაუწიეთ წიგნებს, დაეხმარეთ ოქტომბრელებს სწავლაში.

მასწავლებლებისა და პიონერხელმძღვანელების დახმარებით გაეცანით რელიგიის ანტიმეცნიერულ რაობას, იყავით ათეისტები, გამოააშკარავეთ რელიგიური ცრურწმენები.

**აქტიური მონაწილეობა მიიღეთ პიონერული შრომითი საქმეების საკავშირო ხუთწლედში.** მიაღწიეთ იმას, რომ რაზმის მიერ დასახული შრომითი გეგმები გადაჭარბებით შესრულდეს, თითოეული პიონერი მონაწილეობდეს „ყაირათიანთა ლაშქრობაში". გაუფრთხილდით და დაიცავით სოციალისტური საკუთრება: სასკოლო ქონება, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოების საშუალებანი, საცხოვრებელ სახლთა ლიფტები, ქუჩის, სადარბაზოების ნათურები და სხვ. იყავით შეურიგებელნი იმათ მიმართ, ვინც არასახელმწიფოებრივად ექცევა სახალხო დოვლათს. გაეცანით საბჭოთა კავშირის სასურსათო პროგრამას, წვლილი შეიტანეთ კვების პროდუქტების წარმოებასა და შენახვაში. ბრძოლა გამოუცხადეთ იმათ, ვინც არ უფრთხილდება პურს.

პიონერული მოქმედების ზონაში მდებარე სკოლა რაზმის შრომის მთავარი ობიექტია.

კეთილმოაწყვეთ სკოლის ეზო, იშრომეთ სკოლის ნაკვეთში, მონაწილეობა მიიღეთ თვითმომსახურებაში, გაამწვანეთ საკლასო ოთახები, სასკოლო სახელოსნოებში მიღებული ცოდნა და უნარი პრაქტიკაში გამოიყენეთ: შეაკეთეთ სასკოლო ავეჯი და ინვენტარი, აგრეთვე საშეფო საბავშვო ბაღის სათამაშოები და ავეჯი. მსუბუქ შრომით საქმეებში ჩააბით ოქტომბრელები, დაამზადეთ სამაგიდო სათამაშოები გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის.

მიეხმარეთ მშობლებს საოჯახო საქმეებში, ნაკვეთში. ისწავლეთ კერვა, საჭმლის დამზადება, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის, აგრეთვე საოჯახო ნივთების შეკეთება, ბოსტნეულის, ხილის, კენკროვანთა მოყვანა.

მარშრუტზე:

**„პიონერები — პატრიოტ-ინტერნაციონალისტები"**

**აქტიური მონაწილეობა მიიღეთ პიონერთა და მოსწავლეთა ექსპედიციაში „სსრკ — ჩემი სამშობლოა".** მოაწყვეთ ლაშქრობები, ექსპედიციები, მოგზაურობანი თქვენი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ლენინურ ადგილებში საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების მარშრუტებით.

გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის, წიგნების საშუალებით გაეცანით ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ცხოვრებას. სისტემატურად იკითხეთ პიონერული ჟურნალ-გაზეთები, ჩაატარეთ პოლიტინფორმაციები, მოაწყვეთ შეხვედრები პარტიულ და კომკავშირულ მუშაკებთან, სახალხო დეპუტატებთან, წარმოების მოწინავეებთან. ეს დაგეხმარებათ გაიგოთ, თუ როგორ სრულდება თქვენს სოფელში, ქალაქში, რაიონში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები და მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმები.

გაეცანით სსრ კავშირის კონსტიტუციას — ჩვენი სახელმწიფოს ძირითად კანონს, საბჭოთა ადამიანის უფლება-მოვალეობებს.

დაეხმარეთ პარტიის, კომკავშირის, ომის, შრომის ვეტერანებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. თემურულ მუშაობაში ჩააბით ოქტომბრელები.

**დაამყარეთ მეგობრული ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკათა პიონერებთან.** მიმოწერა იქონიეთ მეგობრებთან, გაუზიარეთ ერთმანეთს პიონერული სიახლენი. მოაწყვეთ დაუსწრებელი სპორტული შეჯიბრებები, ვიქტორინები, კონკურსები საუკეთესო ნახატის გამოსავლენად. მონაწილეობა მიიღეთ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დღესასწაულებში.

**გაეცანით სკკპ სამშვიდობო პროგრამას, მის ცხოვრებაში გატარებას.** უნდა იცოდეთ, როგორ იბრძვის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ქვეყანა მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. თქვენი საქმეებით შეიტანეთ წვლილი მშვიდობის განმტკიცებაში. აქტიურად ჩაებით საკავშირო აქციაში „საბჭოთა ახალგაზრდობის მშვიდობის მარში", საერთაშორისო კამპანიაში დევიზით „ბავშვებს მშვიდობა სურთ". მონაწილეობა მიიღეთ მშვიდობის მომხრეთა ხელმოწერების შეგროვებაში.

გახდით ინიციატორები და მონაწილენი მიტინგების, მანიფესტაციების, აგრეთვე შრომითი საქმეებისა, რის შედეგადაც გამომუშავებული თანხები გადაეცემა მშვიდობის ფონდს ან გაჭირვებაში მყოფ თქვენს საზღვარგარეთელ თანატოლებს.

შეისწავლეთ ამხანაგ ლ. [illegible]ნევის მამობრივი მისალმებ[illegible] და მსოფლიოს ბავშვებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეცანით დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციასთან (ВФДМ) არსებულ СИМЕА-ს, ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების საერთაშორისო კომიტეტის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საქმიანობას, მშვიდობისათვის ბრძოლაში ლენინური პრემიის ლაურეატების მოღვაწეობას.

გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით თვალყური ადევნეთ, როგორ ვითარდება და მტკიცდება სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა. გაიფართოვეთ თქვენი წარმოდგენა საზღვარგარეთელი პიონერების ცხოვრებაზე, კაპიტალისტურსა და განვითარებად ქვეყნებში თქვენი თანატოლების ცხოვრებასა და ბრძოლაზე. უამბეთ ოქტომბრელებს იმაზე, თუ როგორ იბრძვის ჩვენი ქვეყანა მშვიდობისათვის, რა მონაწილეობას ღებულობს თქვენი რაზმეული ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბებში.

მარშრუტზე:

**„პიონერები — კომკავშირის ცვლა"**

**გაიღრმავეთ ცოდნა კომკავშირზე, მის საბრძოლო და შრომით დიდებაზე.** პიონერული საქმეებითა და პატაკებით გამოეხმაურეთ მნიშვნელოვან მოვლენებს კომკავშირის ცხოვრებაში. პიონერულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებით შეისწავლეთ საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დოკუმენტები. მოაწყვეთ შეხვედრები ყრილობის, კონფერენციების, ახალგაზრდობის საერთაშორისო ფორუმების დელეგატებთან,



გაიგეთ, როგორ იბრძვის კომკავშირი პლანეტის ახალგაზრდობასთან მეგობრობის განმტკიცებისა და სოლიდარობისათვის, მშვიდობის დასაცავად.

განამტკიცეთ რაზმის მეგობრობა სკოლის, შეფი საწარმოს კომკავშირელებთან: ჩაატარეთ ერთიანი შრომითი ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, დღესასწაულები, მონაწილეობა მიიღეთ კომკავშირელთა აგიტლაშქრობებში, მოიწვიეთ კომკავშირელები თქვენს შეკრებაზე, კოცონებზე, პიონერულ ხაზებზე.

**პიონერული ორგანიზაციის მატიანე კომკავშირის სახელოვანი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია.** გაეცანით კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის როლს პიონერული მოძრაობის განვითარებაში, მონაწილეობა მიიღეთ პიონერული დიდების მუზეუმებისა და გამოფენების მოწყობაში, პატივი მიაგეთ გმირი პიონერების ხსოვნას, შეფობა აიღეთ იმ თბომავლებსა და ქუჩებზე, რომელნიც მათ სახელებს ატარებენ. თქვენი წვლილი შეიტანეთ „არტეკში" ნორჩ გმირთა დიდების მემორიალის აგებაში. იმეგობრეთ პიონერული მოძრაობის ვეტერანებთან. მიაღწიეთ იმას, რომ თითოეულმა პიონერმა კარგად იცოდეს და იცავდეს პიონერულ კანონსა და ვალდებულებებს, სწორად იყენებდეს ორგანიზაციის წევრის უფლებებს. დაეუფლეთ პიონერულ სიმბოლიკასა და ატრიბუტებს.

**იზრუნეთ თქვენს ნორჩ ცვლაზე.**

რაზმის, თითოეული პიონერის უმნიშვნელოვანესი საქმეა ოქტომბრელების მომზადება პიონერული ორგანიზაციის რიგებში შესასვლელად. დაეხმარეთ მათ თამაშ-მოგზაურობის — „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში" — მოწყობაში. ჩართეთ პატარები თქვენი რაზმის საქმეებში, იყავით მათთვის სამაგალითონი სწავლაში, შრომაში, სპორტში, დისციპლინასა და ორგანიზებულობაში.

მარშრუტზე:

**„პიონერები— ძლიერნი, გაბედულნი, მარდნი"**

**მიაღწიეთ იმას, რომ ყველა პიონერმა წარმატებით ჩააბაროს საკავშირო კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის"** I საფეხურის „გაბედულნი და მარდნი" ნორმატივები, მიიღოს „მშდ"-ს ოქროს და ვერცხლის სამკერდე ნიშანი; რაზმის თითოეული პიონერისათვის წესად უნდა იქცეს დილის ვარჯიში, საკუთარი ორგანიზმის გაკაჟება, რეგულარული ვარჯიშები ფიზკულტურასა და სპორტში. იმეცადინეთ სპორტულ სექციებში, წრეებში, კლუბებში, სპორტულ სკოლებში. იბრძოლეთ უკეთესი სპორტული შედეგებისათვის თამაშებში „იმედის სტარტები", პიონერულ ოთხჭიდში „მეგობრობა", „პიონერსკაია პრავდის", რადიოგაზეთ „პიონერსკაია ზორკას" მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში საქ. ალკკ ცკ-ის სპორტულ კლუბთა პრიზების მოსაპოვებლად.

აქტიური მონაწილეობა მიიღეთ რაზმეულის სპორტულ შეჯიბრებებში. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ ფიზკულტურის გაკვეთილებს, მოაწყვეთ ამხანაგური შეხვედრები, ტურნირები, სპარტაკიადები, ორდღიანი ლაშქრობები სხვა რაზმების პიონერებთან ერთად. განივითარეთ და განიმტკიცეთ ტურისტული ჩვევები და ხერხები, გამოსცადეთ ისინი ტურისტულ მრავალჭიდში.

ჩამოაყალიბეთ სპორტული წრეები ოქტომბრელებისათვის, ჩაატარეთ მათთან თამაშობები, შეჯიბრებები, „მხიარული ესტაფეტები".

**ემზადეთ, რომ გახდეთ სამშობლოს დამცველები.** განამტკიცეთ მეგობრობა საბჭოთა არმიის მეომრებთან. აქტიური მონაწილეობა მიიღეთ პიონერულ სამხედრო-სპორტულ თამაშ „ცისკარში", ჩაეწერეთ ЮДСА, ЮДМ, ЮДП, ЮДПД რიგებში. სისტემატურად სრულყავით თქვენი „არმიული" ჩვევები. მოაწყვეთ სამხედრო სპორტული თამაშობები ღია ცისქვეშ. დაეხმარეთ ოქტომბრელებს „მცირე ცისკრის" ორგანიზებაში.

აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ექსპედიციაში „დიდი სამამულო ომის მატიანე", მოაწყვეთ კუთხეებში, ოთახებში, საბრძოლო დიდების მუზეუმებში ახალი ექსპოზიციები.

მარშრუტზე:

**„პიონერები— მშვენიერების მეგობრები"**

შეისწავლეთ მშობლიური მხარის ბუნება, ჩასწვდით მის განუმეორებელ სილამაზეს, აღბეჭდეთ მშობლიური პეიზაჟები ნახატებსა და ფოტოებზე. ჩაატარეთ საუბრები ბუნებისა და ხელოვნების სილამაზის შესახებ.

უფროსი ამხანაგების შემწეობით გაეცანით ჩვენი სამშობლოს ხალხების მრავალფეროვან ხელოვნებას, მშობლიური მხარის მწერლების, პოეტების, მხატვრების შემოქმედებას, კულტურულ ტრადიციებს, ჩვევებს. ემზადეთ, რომ გახდეთ ყოველივე ამის გამგრძელებელი და პროპაგანდისტი.

იარეთ თეატრებში, კინოში, კონცერტებზე, მოსწავლეთათვის გან-



კუთვნილ მუსიკალურ დილებსა და საღამოებზე, ხელოვნების მუზეუმებში, გამოფენებზე, დაათვალიერეთ არქიტექტურული და სკულპტურული ძეგლები, კოლექტიურად იმსჯელეთ გამოფენებსა და მუზეუმებში ნანახზე, განიხილეთ სპექტაკლები, კინოფილმები, მოსმენილი კონცერტები.

მოამზადეთ ნახატები, მხატვრული თვითნაკეთობანი ბავშვთა მხატვრული შემოქმედების საქალაქო, რაიონული, სასკოლო გამოფენებისათვის.

აქტიური მონაწილეობა მიიღეთ პიონერულ მხატვრულ თვითმოქმედებაში. რაზმში ჩამოაყალიბეთ გუნდი, აგიტბრიგადა, იბრძოლეთ ტრადიციულ საქალაქო, რაიონულ ფესტივალებში, დათვალიერებებში, ხელოვნების ზეიმებში გამოსვლის უფლებისათვის.

იმ პიონერთა ძალებით, რომლებიც მუსიკალურ სკოლებში, სამხატვრო სტუდიებში, ბავშვთა მხატვრულ კოლექტივებში მეცადინეობენ, რაზმში და ოქტომბრელთა ჯგუფებში ჩამოაყალიბეთ წრეები, მოაწყვეთ შემოქმედებითი კონკურსები, დათვალიერებები, მუსიკალური ზეიმები. რაზმში გააფორმეთ გამოფენა „ჩემი გატაცებანი“. შეისწავლეთ და რაზმთან ერთად იმღერეთ სხვადასხვა თაობის კომკავშირული და პიონერული სიმღერები, სიმღერები პარტიასა და სამშობლოზე. შეკრებებზე, დისპუტებზე იმსჯელეთ რაზმის პიონერთა ქცევის კულტურაზე, ტანსაცმლის, მანერების სილამაზეზე. მოაწყვეთ შეხვედრები, კითხვა-პასუხის საღამოები იმ ადამიანებთან, რომელთაც შეუძლიათ დაგეხმარონ მშვენიერების გაგებაში — მუსიკოსებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან, ტანსაცმლის მოდელიორებთან, ხალხურ ხელობათა ოსტატებთან.

## შენი რაზმი იღებს 3 მესამე სიმაღლეს,

## იძლევა პიონერულ სიტყვას:

(მაგალითად)

ჩვენ, (გმირის სახელი), სახელობის რაზმის პიონერები, სიტყვას ვიძლევით, წარმატებით დავამთავროთ მარშის პროგრამა და ავიღოთ მესამე სიმაღლე.

— მივაღწევთ „უფროსი პიონერების“ რაზმის ხელდასხმას;

— საქმითა და ქცევით დავამტკიცებთ საკ. ალკკ რიგებში შესასვლელად ჩვენს მზადყოფნას;

— გავუძღვებით რაზმეულის საქმიანობას სკოლის, ქალაქის, რაიონის, ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების სასარგებლოდ;

— დავეუფლებით პიონერ-ინსტრუქტორის ჩვევებსა და ცოდნას;

— ერთმანეთის მიმართ ვიქნებით გულისხმიერნი, პატივისმცემელნი, გავუფრთხილდებით ამხანაგების ნდობას, გავიხარებთ მათი წარმატებით, მხარში ამოვუდგებით გაჭირვებისას, შეცდომისათვის გავაკრიტიკებთ, ანგარიშს გავუწევთ კოლექტივის საზოგადოებრივ აზრს;

— ვიქნებით დისციპლინირებულნი, გასაქანს არ მივცემთ უქნარობას, ჩხუბს, უხეშობას, ჭორებს, მეშჩანობას, გულგრილობას—ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება კომუნისტური ზნეობის კანონებს;

— მივაღწევთ იმას, რომ თითოეული პიონერი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არა მარტო თავად იყოს აქტიური, პატიოსანი, სამართლიანი, არამედ შეეძლოს უსამართლობისა და პასიურობის წინააღმდეგ ბრძოლაც;

— ჩვენს ტრადიციებს გადავცემთ ჩვენს ცვლას, მოვამზადებთ ოქტომბრელებს საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რიგებში შესასვლელად და წავუძღვებით მათ წინ მარშის მარშრუტებით სიმაღლიდან სიმაღლისაკენ.

## სიტყვის ერთგულება საქმით დაამტკიცე!

მარშრუტზე:

## „პიონერები— სამშობლოს“

**შეისწავლეთ ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია, იბრძოლეთ მისი ანდერძის ცხოვრებაში გასატარებლად.** იკითხეთ და განიხილეთ ვ. ი. ლენინის შრომები. ჩაატარეთ ლენინური კითხვები, გაკვეთილები, კონფერენციები, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ლენინის მუზეუმის, დარბაზის, ოთახის მუშაობაში. შეავსეთ ისინი ახალი მასალებითა და ექსპონატებით, მოაწყვეთ ახალი ექსპოზიციები.

უმცროსი ასაკის პიონერებისა და ოქტომბრელებისათვის მოაწყვეთ ექსკურსიები და ლაშქრობები თქვენი ქალაქის, რაიონის ლენინურ ადგილებში. უამბეთ მათ ვ. ი. ლენინის შესახებ.

შეისწავლეთ სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები: „მოგონებები“, „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“.

მასწავლებლის, პიონერხელმძღვანელის დახმარებით შეისწავლეთ სკკპ ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის დოკუმენტების ძირითადი დებულებანი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის შესახებ.

**ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას.** იყავით სამაგალითონი საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის შესრულებაში. სწავლას მოეპყარით ისე, როგორც მთავარ მოქალაქეობრივ ვალს. გახდით ინიციატორები მოძრაობისა „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!“ ჩამოაყალიბეთ საყოველთაო სწავლების საგუშაგოები, საგნის კონსულტანტების საბჭოები. განაგრძეთ ზრუნვა იმაზე, რომ რაზმის ყველა პიონერი ივითარებდეს თავის ნიჭს საგნობრივ წრეებში, სამეცნიერო საზოგადოებებში, ინტერესების მიხედვით შექმნილ კლუბებში, მონაწილეობდეს დათვალიერებაში — „ნორჩი ტექნიკოსები და მკვლევარები — სამშობლოს!“ მხარი დაუჭირეთ და წაახალისეთ პიონერები, რომლებიც დამოუკიდებელ საკონსტრუქტორო, კვლევით, საცდელ მუშაობას ეწევიან. მოაწყვეთ შემეცნებითი კონკურსები, ოლიმპიადები, ტექნიკური შემოქმედების გამოფენები, ცნობისმოყვარეთა კლუბები უმცროსი ასაკის პიონერებისა და ოქტომბრელებისათვის, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ბავშვებისათვის საგნობრივი კვირეულები, ცოდნის ზეიმები მთელი რაზმეულისათვის. კომკავშირელებთან ერთად მონაწილეობა მიიღეთ ზეპირი ჟურნალების გამოშვებაში, დისპუტებში, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული წიგნების განხილვისადმი მიძღვნილ მკითხველთა კონფერენციებში. გასწიეთ ანტირელიგიური პროპაგანდა. ყურადღებით მოეპყარით მორწმუნე ოჯახის შვილებს.

**ემზადეთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის რიგების შესავსებად.** პროფტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების, საწარმოთა კომკავშირელებთან ერთად ჩაატარეთ მომავალი პროფესიის არჩევისადმი მიძღვნილი საუბრები, საღამოები, დისპუტები, ექსკურსიები. გაეცანით თანამედროვე წარმოებას, ძირითად პროფესიებსა და სპეციალობებს, რომლებიც სჭირდება თქვენს სოფელს, ქალაქს, რაიონს. იყავით სამაგალითონი რაზმეულისათვის შრომითი საქმეების პიონერული ხუთწლედის ვალდებულებათა შესრულებაში. ასწავლეთ უმცროს

პიონერებს ხერხები, რომლებიც აუცილებელია საკავშირო შრომითი ოპერაციების შესრულებისათვის. გახდით შრომით საქმეებში შეჯიბრებათა ინიციატორები და ორგანიზატორები. გააფართოეთ თქვენი რაზმის პიონერული მოქმედების ზონა. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებთან შექმენით პიონერული რგოლები. მონაწილეობა მიიღეთ უფროსკლასელთა შრომით ხემესტრში დევიზით — „ჩემი შრომა ჩემი რესპუბლიკის შრომას ერწყმის“. შეიტანეთ თქვენი პიონერული წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, მე-11 ხუთწლედის ეკონომიისა და ყაირათიანობის საკავშირო კომკავშირულ ანგარიშში. კომკავშირელებთან ერთად მონაწილეობა მიიღეთ სკოლის შეკეთებაში, კაბინეტების, სახელოსნოების მოწყობაში; შესაძლებლობის მიხედვით დაეუფლეთ ტექნიკის რომელიმე სახეობას — ტრაქტორის, ავტომანქანის, მოტოციკლის მართვას.

მშობლებს დაეხმარეთ სახლის, ბინის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის გარემონტებაში.

მარშრუტზე:

**„პიონერები— პატრიოტ-ინტერნაციონალისტები“**

**გახდით რაზმეულში პიონერთა და მოსწავლეთა ექსპედიციის — „სსრკ — ჩემი სამშობლოა“** — ორგანიზატორები, მოაწყვეთ საძიებო ოპერაციები, ექსპედიციები, აგიტლაშქრობები ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი გმირობის ადგილებში. მონაწილეობა მიიღეთ სასკოლო მუზეუმების, საბჭოების, წითელკვალმაძიებელთა შტაბების მუშაობაში. მოძიებული მასალები გამოიყენეთ პოლიტინფორმაციებში, აგიტბრიგადათა პროგრამებში, ლექტორთა ჯგუფების გამოსვლებში.

გაეცანით სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობას, ადგილობრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, მიიღეთ მათგან დავალებები და ღირსეულად შეასრულეთ ისინი.

გაიღრმავეთ ცოდნა საბჭოთა სახელმწიფოს კანონების შესახებ, მისდიეთ მათ. შესძელით დააფასოთ ცხოვრების ჩვენებური, საბჭოური წესი, სიტყვითა და საქმით დაიცავით იგი, იყავით შეურიგებელნი მტრული ბურჟუაზიული პროპაგანდის, მეშჩანური ლაყბობის მიმართ. ებრძოლეთ მათ აგიტბრიგადების გამოსვლებით, სააგიტაციო პლაკატებით, კედლის გაზეთებში, შეკრებებზე, დისპუტებზე, პოლიტინფორმაციებზე. ცხოვრების ფაქტები, მომხდარი ამბები შეაფასეთ საერთო სახალხო ინტერესების პოზიციებიდან. მასწავლებლების, მშობლების, შეფების დახმარებით ეცადეთ მოუძებნოთ სწორი პასუხები განსაკუთრებით რთულ საკითხებს.

**გააღრმავეთ მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების პიონერებთან:** განაგრძეთ მიმოწერა, დაუსწრებელი შეჯიბრებები, , მოაწყვეთ დელეგაციების გაცვლა, ფესტივალები და ზეიმები „ხალხთა მეგობრობა“, შეხვედრები, ერთიანი ექსპედიციები, მოგზაურობები, ლაშქრობანი, მეგობრობის ბანაკები.

**ჩადექით მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში.** გახდით რაზმეულში საკავშირო აქციის — „საბჭოთა ახალგაზრდობის მშვიდობის მარში“ — და საერთაშორისო კამპანიის — „ბავშვებს მშვიდობა სურთ“ — ორგანიზატორები. მოაწყვეთ სოლიდარობის მიტინგები, აგრეთვე შრომითი შაბათობები მშვიდობისა და იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ეროვნული და სოციალური განვითარებისათვის მებრძოლ ხალხთა დახმარების ფონდისათვის. რაზმეულში მოაწყვეთ ინტერნაციონალური საღამოები, ფესტივალები, ზეიმები. აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მუშაობაში.

თვალყური ადევნეთ კაპიტალის ქვეყნებში საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, გაეცანით ახალგაზრდობის დემოკრატიული ორგანიზაციების ВФДМ მუშაობას, ლენინური კომკავშირის ინტერნაციონალურ კავშირებს.

შეისწავლეთ, როგორ მტკიცდება და ვითარდება სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა. გაეცანით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (СЭВ) მუშაობას, მის პროგრამაში მონაწილე იმ საწარმოებსა და მშენებლობებს, რომლებიც თქვენს რაიონში, მხარეშია განლაგებული. დაიწყეთ სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციათა გაცნობა.

მარშრუტზე:

**„პიონერები— კომკავშირის ცვლა“**

**ემზადეთ საკ. ალკკ რიგებში შესასვლელად.** შეისწავლეთ კომკავშირის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინის გამოსვლა („ახალგაზრდობის კავშირების ამოცანები“). რა[illegible] ლეთ იმაზე, თუ როგორ [illegible] ვ. ი. ლენინის მიერ ახალგაზრდობისათვის დატოვებულ ანდერძს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. უნდა შეგეძლოთ, გასაგებად აუხსნათ უმცროს პიონერებს ლენინის ანდერძის — „ისწავლეთ კომუნიზმი“ — რაობა.

გაეცანით სკკპ პროგრამის ძირითად დებულებებს, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცკ-ის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებს ახალგაზრდობის წინაშე, კომკავშირის XIX ყრილობის მასალებს.

მონაწილეობა მიიღეთ პარტიის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმაში თქვენს მშობლიურ ქალაქში, რაიონში, სოფელში. პარტიის წევრები და კომკავშირელები მოიწვიეთ თქვენს შეკრებებზე, კოცონებზე, დისპუტებზე, მეცადინეობებზე, რომელთაც მიუძღვნით ლენინის შრომების, პარტიული და კომკავშირული დოკუმენტების შესწავლას.

რაზმში გაეცანით საკ. ალკკ წესდებას, კომკავშირის ისტორიას, ჩაატარეთ შეკრებები და საუბრები კომკავშირის დროშაზე, კომკავშირულ ბილეთზე, სამკერდე ნიშანზე, მონაწილეობა მიიღეთ სკოლის, საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციათა მატიანის შექმნაში. კომკავშირული ჟურნალ-გაზეთების, რადიო და ტელეგადაცემების მასალებით განაგრძეთ ახალგაზრდობის მსოფლიო კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობის გაცნობა.

**ამრავლეთ, შეინახეთ და უმცროსებს გადაეცით პიონერიის სახელოვანი ტრადიციები.** იყავით რაზმეულის საქმეთა ორგანიზატორები, დაეხმარეთ მე-3 — მე-6 კლასელ პიონერებს რაზმების საქმიანობაში, მონაწილეობა მიიღეთ პიონერული აქტივის სკოლების მუშაობაში.

გახდით პიონერ-ინსტრუქტორები. ჩამოაყალიბეთ წრეები და სექციები უმცროსი ასაკის პიონერებისა და ოქტომბრელებისათვის. ჩაუტარეთ მათ პოლიტინფორმაციები, ექსკურსიები, ასწავლეთ საყვირსა და დოლზე დაკვრა. მოამზადეთ ოქტომბრელები პიონერთა რიგებში შესასვლელად.

მარშრუტზე:

**„პიონერები— ძლიერნი, გაბედულნი, მარდნი“**

**რაზმში ორგანიზაცია გაუკეთეთ მზადებას საკავშირო კომპლექსის „იყავ მზად შრომისა და სსრკ-ის დაცვისათვის“ II საფეხურის „სპორტული ცვლა“ ნორმების ჩასაბარებლად.** რაზმის ვალია, დაეხმაროს ყველა პიონერს — გახდეს მშდ-ს ნიშნოსანი. მონაწილეობა მიიღეთ მშდ-ს ნორმების ჩასაბარებლად უმცროსი ამხანაგების მომზადებაში. გადაეცით მათ პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვის, ორგანიზმის გაკაჟების ჩვევები და ცოდნა. გახდით უმცროს პიონერთა და ოქტომბრელთა ინსტრუქტორები სპორტში, ტურიზმში, ჰიგიენაში. უმცროს რაზმებსა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მოაწყვეთ დილის ვარჯიშის კომპლექსის სწავლება, მოძრავი თამაშები, სპორტული შეჯიბრებები, კონკურსები, ესტაფეტები.

რაზმეულის საბჭოს დაეხმარეთ თამაშების — „იმედის სტარტები“, პიონერული ოთხჭიდის — „მეგობრობის“, „პიონერსკაია პრავდას“, რადიოგაზეთ „პიონერსკაია ზორკას“ მიერ ორგანიზებული და საქ ალკკ ცკ-ის პრიზებზე გამართული შეჯიბრებების ორგანიზაციაში, იბრძოლეთ მაღალი შედეგებისათვის, მოიპოვეთ უფლება, რომ ქალაქის, რაიონის სპორტულ შეჯიბრებებში რაზმეულის სახელით წარსდგეთ.

მოაწყვეთ რამდენიმე მრავალდღიანი ლაშქრობა. დახვეწეთ ტურისტული ტექნიკა. მონაწილეობა მიიღეთ ტურისტულ შეკრებებსა და შეჯიბრებებში.

**ემზადეთ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.** მონაწილეობა მიიღეთ და სხვა პიონერებიც ჩართეთ დოსააფის წრეებისა და სექციების მუშაობაში. მოაწყვეთ შეხვედრები სამხედრო სასწავლებლების, აკადემიის კურსანტებთან, საბჭოთა არმიის ვეტერანებთან, სამხედრო კომისარიატისა და დოსააფის კომიტეტების მუშაკებთან. გახდით თამაშ „ცისკრის“, რაზმეულის სამხედრო სპორტული საქმეების, ЮДСА, ЮДП, ЮДПД, ЮИД რაზმების მუშაობის ორგანიზატორები. სათავეში ჩაუდექით რაზმეულის ექსპედიციას „დიდი სამამულოს მატიანე“, უხელმძღვანელეთ თემურულ და უმცროსი ასაკის პიონერული რაზმების ჯგუფებს.

მარშრუტზე:

**„პიონერები — მშვენიერების მეგობრები“**

შეისწავლეთ თქვენს რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში მშობლიური ბუნების ღირსშესანიშნაობანი, მოაწყვეთ ექსკურსიები და ლაშქრობები ნაკრძალებში, მდინარეებზე, წყალსაცავებზე, მთებში.

გაეცანით მშობელი ხალხის კულტურის ძეგლებს, უნდა შეგეძლოთ, უმცროს პიონერებს უამბოთ ამ ძეგლების შექმნაზე, მათ ავტორებზე.

გაამწვანეთ და გაალამაზეთ თქვენი სკოლა, სასკოლო შენობის მიმდებარე ტერიტორია, ბინა ან სახლი, რომელშიც ცხოვრობთ, აივანი, საბაღე ნაკვეთი, ეზო.

გაიღრმავეთ და გაიფართოვეთ ცოდნა ხელოვნების დარგებში, დაიწყეთ ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, არქიტექტურის მსოფლიო შედევრების გაცნობა.

გახდით რაზმეულის პიონერებს შორის საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების პროპაგანდისტები. უფროსების დახმარებით შექმენით კლუბები: „მშვენიერების მეგობრები“, „მცირე ტრეტიაკოვკა“, [illegible] ხელოვნებათმცოდნეების ლექტორთა ჯგუფები, ჩაატარეთ მუსიკალური და პოეზიის საღამოები, სათავეში ჩაუდექით პიონერული რაზმეულის მხატვრულ თვითმოქმედებას. ორგანიზაცია გაუკეთეთ და მონაწილეობა მიიღეთ მხატვრული კითხვის, ხატვის, ნორჩი პოეტების, ინსცენირებული სიმღერების, სამეჯლისო ცეკვების კონკურსებში, მოაწყვეთ პიონერული დისკოთეკები.

მოაწყვეთ „მშვენიერებასთან შეხვედრა“ მშობლებისა და მიკრორაიონის მცხოვრებლებისათვის.

განიხილეთ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები.

აქტიურად იბრძოლეთ ადამიანის სულიერი სილამაზისათვის, სილამაზისათვის ჩაცმულობაში, გარეგნულ იერში. ამას მიუძღვენით შეკრებები, დისპუტები, საღამოები.

რაზმეულში ჩაატარეთ წიგნის, თეატრის, მუსიკის, კინოს კვირეულები. მშვენიერების სამყაროში წარუძეხით უმცროსი ასაკის პიონერებსა და ოქტომბრელებს.

## ნორჩო ლენინელო!

გზას რომ დაადგები, თან წაიყოლე ოცნება და რომანტიკა, პიონერული სიმღერა და მხიარული თამაში.

გახსოვდეს: „პიონერული წლები არის მშვენიერი ხანა მაღალ მოქალაქეობრივ თვისებათა ფორმირებისათვის“. წლიდან წლამდე, სიმაღლიდან სიმაღლემდე ემზადე საოცნებო მიზნისათვის — ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის რიგებში შესასვლელად.

ყოველთვის იყავ მზად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად!

მხატვარი ზ. ფორჩხიძე






# ნიჭიერები არავინ დარჩენილა!

საუცხოო შეჯიბრებაა ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობა „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე, მართლაც საუცხოო. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა იგი დაახლოებით ორი ათეული წლის წინ დააწესა. ამ იდეას დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ თვით ბავშვები, აგრეთვე მათი მშობლები, აღმზრდელები, მწვრთნელები, სპეციალისტები, საერთოდ ყველა, ვისაც კი უშუალოდ ეხება ნორჩი თაობის ფიზიკურ წრთობაზე, ჯანმრთელობასა და დაოსტატებაზე, მათ მომავალზე ფიქრი და ზრუნვა.

— ბავშვებო, ითამაშეთ ფეხბურთი! — ამ ლოზუნგს აღტაცებით შეეგებნენ ნორჩები და მთელ ჩვენს ქვეყანას მათი მხიარული ყიჟინა მოედო. სად არ ჩამოყალიბდა „ტყავის ბურთის“ კლუბის გუნდები: ცივ ჩრდილოეთშიც და თაკარა სამხრეთშიც, იქაც, სადაც მიწა ყინულისაგან სულ რაღაც ორი-სამი თვით თუ თავისუფლდება ზაფხულობით, და იქაც, სადაც უდაბნოს ქვიშა ზურგით უნდა გადაზიდო, მყარ ნიადაგამდე რომ დახვიდე. ბავშვები ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ, პოულობდნენ სათამაშო ადგილს, ასუფთავებდნენ, ასწორებდნენ, სათუთად უვლიდნენ, ბალახს თესდნენ, საფეხბურთოდ ამზადებდნენ. თუ მოინდომებ, გაუჩინარს გააჩენ ადამიანი. ფეხბურთის მოტრფიალეებმა ბურთებიც იშოვეს, ფორმაც, მასწავლებლებიც გამონახეს და მილიონობით ყმაწვილი ჩაება დიდ საფეხბურთო ცხოვრებაში.

მილიონობით — ეს გადაჭარბებული ციფრი არ გეგონოთ. „ტყავის ბურთის“ კლუბის შეჯიბრებებში მონაწილეობენ 3 ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები — 10-დან 15 წლამდე. წლეულს, მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში 3 მილიონამდე ბავშვმა იასპარეზა. მათ ყურადღებით ადევნებდნენ თვალს თანატოლებიც, უფროსებიც, ნორჩების თაოსნობას მხარი აუბეს მოზრდილებმაც, მათი სახსრებითა და გარჯით მოეწყო მრავალი საფეხბურთო მოედანი, სპორტული ბაზა, ბევრ ახალ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

შეიძლება ვინმემ თქვას — რაა გასაკვირი, 10-15 წლის ბავშვები, რაც თავი გვახსოვს, მუდამ თამაშობდნენ ბურთს, ამ საქმეს მოხალისე არასოდეს აკლდაო. მაგრამ მთლად ასე არ არის საქმე: „ტყავის ბურთის“ კლუბი ორგანიზებულად უყრის თავს არა მარტო იმ ბავშვებს, რომლებიც გამოცდილ მწვრთნელთა მეთვალყურეობით რეგულარულად ვარჯიშობენ სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებში, არამედ იმათაც, ვისაც ამის საშუალება არა აქვს — ურიცხვი რაოდენობის ნორჩებს. სწორედ ესენი არიან ის მილიონები, ზემოთ რომ ვახსენეთ. საფეხბურთო სპორტსკოლები არსებობს დიდ ქალაქებში—მოსკოვში და სხვაგან. არის უფრო მცირე ქალაქებშიც, ზოგან — რაიონულ ცენტრებშიც, მაგრამ ჩვენს უკიდეგანო ქვეყანაში; ბარად და მთაშიც, შორეულ სოფლებში უამრავი ბავშვია მოკლებული ყურადღებიან, დაკვირვებულ თვალს და, ვინ იცის, რამდენი ხალასი ნიჭის მქონე ჭაბუკი დარჩენილა დიდი ფეხბურთის მიღმა მხოლოდ იმის გამო, რომ ვერც სპეციალურ საფეხბურთო სკოლაში მო-



დიდია ბურთის გატანის სურვილი, მაგრამ მეკარე თავგამოდებით იცავს საკუთარ კარს.




# [illegible] ტყავის ფეხბურთელები!

საუცხოო შეჯიბრებაა ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობა „ტყავის ბურთის" კლუბის პრიზზე, მართლაც საუცხოო. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა იგი დაახლოებით ორი ათეული წლის წინ დააწესა. ამ იდეას დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ თვით ბავშვები, აგრეთვე მათი მშობლები, აღმზრდელები, მწვრთნელები, სპეციალისტები, საერთოდ ყველა, ვისაც კი უშუალოდ ეხება ნორჩი თაობის ფიზიკურ წრთობაზე, ჯანმრთელობასა და დაოსტატებაზე, მათ მომავალზე ფიქრი და ზრუნვა.

— ბავშვებო, ითამაშეთ ფეხბურთი! — ამ ლოზუნგს აღტაცებით შეეჯებნენ ნორჩები და მთელ ჩვენს ქვეყანას მათი მხიარული ყიჟინა მოედო. სად არ ჩამოყალიბდა „ტყავის ბურთის" კლუბის გუნდები: ცივ ჩრდილოეთშიც და თაკარა სამხრეთშიც, იქაც, სადაც მიწა ყინულისაგან სულ რაღაც ორი-სამი თვით თუ თავისუფლდება ზაფხულობით, და იქაც, სადაც უდაბნოს ქვიშა ზურგით უნდა გადაზიდო, მყარ ნიადაგამდე რომ დახვიდე. ბავშვები ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ, პოულობდნენ სათამაშო ადგილს, ასუფთავებდნენ, ასწორებდნენ, სათუთად უვლიდნენ, ბალახს თესდნენ, საფეხბურთოდ ამზადებდნენ. თუ მოინდომებ, გაუჩინარს გააჩენ ადამიანი. ფეხბურთის მოტრფიალეებმა ბურთებიც იშოვეს, ფორმაც, მასწავლებლებიც გამონახეს და მილიონობით ყმაწვილი ჩაება დიდ საფეხბურთო ცხოვრებაში.

მილიონობით — ეს გაზვიადებული ციფრი არ გეგონოთ. „ტყავის ბურთის" კლუბის შეჯიბრებებში მონაწილეობენ 3 ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები — 10-დან 15 წლამდე. წლეულს, მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში 3 მილიონამდე ბავშვმა იასპარეზა. მათ ყურადღებით ადევნებდნენ თვალს თანატოლებიც, უფროსებიც, ნორჩების თაოსნობას მხარი აუბეს მოზრდილებმაც, მათი სახსრებითა და გარჯით მოეწყო მრავალი საფეხბურთო მოედანი, სპორტული ბაზა, ბევრ ახალ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

შეიძლება ვინმემ თქვას — რაა გასაკვირი, 10-15 წლის ბავშვები, რაც თავი გვახსოვს, მუდამ თამაშობდნენ ბურთს, ამ საქმეს მოხალისე არასოდეს აკლდაო. მაგრამ მთლად ასე არ არის საქმე: „ტყავის ბურთის" კლუბი ორგანიზებულად უყრის თავს არა მარტო იმ ბავშვებს, რომლებიც გამოცდილ მწვრთნელთა მეთვალყურეობით რეგულარულად ვარჯიშობენ სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებში, არამედ იმათაც, ვისაც ამის საშუალება არა აქვს — ურიცხვი რაოდენობის ნორჩებს. სწორედ ესენი არიან ის მილიონები, ზემოთ რომ ვახსენეთ. საფეხბურთო სპორტსკოლები არსებობს დიდ ქალაქებში—მოსკოვში და სხვაგან. არის უფრო მცირე ქალაქებშიც, ზოგან — რაიონულ ცენტრებშიც, მაგრამ ჩვენს უკიდეგანო ქვეყანაში; ბარად და მთაშიც, შორეულ სოფლებში უამრავი ბავშვია მოკლებული ყურადღებიან, დაკვირვებულ თვალს და, ვინ იცის, რამდენი ხალასი ნიჭის მქონე ჭაბუკი დარჩენილა დიდი ფეხბურთის მიღმა მხოლოდ იმის გამო, რომ ვერც სპეციალურ საფეხბურთო სკოლაში მო-



დიდია ბურთის გატანის სურვილი, მაგრამ მეკარე თავგამოდებით იცავს საკუთარ კარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდა და ვერც გამოცდილი მწვრთნელის ხედვის არეში.

„ტყავის ბურთის“ კლუბი სწორედ საიმისოდაა შექმნილი, რომ მცოდნე ადამიანებმა საგულდაგულოდ ადევნონ თვალი ქვეყნის შორეულ კუთხე-კუნჭულებში მყოფ ნორჩ ფეხბურთელებს, გამოუმუშაონ მათ სპორტში მეცადინეობის სურვილი, გამოავლინონ საგანგებო ნიჭით დაჯილდოებულნი, გზა გაუკაფონ, აზიარონ დიდ ფეხბურთს, შექმნან გუნდები ეზოებში, ქუჩებში, სახლმმართველობასთან, სკოლებში.

ზემოთქმული ლიტონი სიტყვები არაა. „ტყავის ბურთის“ შეჯიბრებები ის ნოყიერი ნიადაგი და ვრცელი ასპარეზია, სადაც ფეხი აიდგეს, მაგალითად, თბილისის „დინამოს“ შესანიშნავმა ფეხბურთელებმა — ვლადიმერ გუცაევმა, რამაზ შენგელიამ, ვიტალი დარასელიამ, ერევნელმა ხორენ ოჰანესიანმა, მინსკელმა სერგეი ბოროვსკიმ, კიეველებმა ვლადიმერ ბესონოვმა, სერგეი ბალტაჩამ, ანატოლი დემიანენკომ, მოსკოველებმა რენატ დასაევმა, ვაგიზ ხიდიატულინმა. ისინი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები, ჩვენი საფეხბურთო გვარდია გახლავთ! აი, ასეთია „ტყავის ბურთის“ კლუბის მადლი და ღირსება: ეზოში მოთამაშე ბიჭუნადან — უმაღლესი კლასის, საერთაშორისო აღიარების მქონე გამოჩენილ ოსტატამდე! ამიტომაა, რომ ყოველი ახალი გათამაშება ასეთ ცხოველ ინტერესს იწვევს, მას მუდამ მოუთმენლად მოელიან.

ასე მოუთმენლად მოველოდით წლევანდელი საკავშირო ტურნირის ფინალსაც 10-11 წლის ნორჩ ფეხბურთელთა შორის, რომელიც აგვისტოში გაიმართა თბილისში. მასში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. თამაშობდნენ, აგრეთვე, საქართველოს გუნდები — „მართვე“ (თბილისი) და „იმედი“ (რუსთავი).

თბილისში ჩამოსულ სხვადასხვა ეროვნებათა ნორჩ ფეხბურთელებს, გარდა უშუალოდ მწვანე მინდორზე წარმოებული საფეხბურთო ბრძოლებისა, სხვა ბევრი საინტერესოც ელოდათ — ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მუზეუმები, ისტორიული ადგილები, უძველესი ძეგლები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ერთი სიტყვით, დიდი და შინაარსიანი კულტურული პროგრამა. ნორჩები მზრუნველობითა და ყურადღებით იყვნენ მოსილნი, მათ თამაშს საგულდაგულოდ ადევნებდნენ თვალს თანატოლებიც და უფროსებიც.

ბავშვები თამაშობდნენ ქალაქის



დიდად დაძაბული იყო რუსთავის „იმედისა“ და თბილისის „მართვეს“ შეხვედრა.



ტურნირის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი გოჩა ჯამარაული



წამიც და არ დააყოვნებს საჯარიმო სასტვენი.



ტურნირის ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი ანდრო კურჩიევი.



ტურნირის ყველაზე ნორჩი მონაწილე ევგენი სანიჩენკო.

საუკეთესო სტადიონებზე, სადაც თითქმის ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა უშელავათო ბრძოლა, სადაც ნორჩებმა თამაშის კარგი ცოდნა და ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინეს. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „მართვე" და ქ. ოქტემბერიანის „მრგაშატი" (სომხეთი). გამარჯვება ანგარიშით 1:0 მოიპოვა „მრგაშატმა", თბილისელები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

ჟურნალ „პიონერის" კორესპონდენტმა სთხოვა ცნობილ ადამიანებს, რომლებიც ფეხბურთთან არიან დაკავშირებულნი, რამდენიმე სიტყვა ეთქვათ ამ საინტერესო შეჯიბრების შესახებ. აი, მათი აზრიც:

**გავრილ კაჩალინი** (სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი): „შესანიშნავი ნორჩი თაობა გვყავს, შეჯიბრების მონაწილეთა შორის მრავლად არიან წმინდა საფეხბურთო ნიჭის მქონე ბავშვები, განსაკუთრებით მომეწონა „მრგაშატის", „მართვეს", „იმედის" მოთამაშეები, მათ სულითა და გულით ვურჩევ არ მიატოვონ ფეხბურთის თამაში".

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. კაჩალინი აჯილდოებს „მართვეს" გუნდს.

**მიხეილ მესხი** (სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების გამოჩენილი ფეხბურთელი): „ტურნირის მონაწილეთა შორის საკმაო რაოდენობით შევამჩნიე ნორჩი მოთამაშეები, რომლებმაც სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ თამაშს, მათთვის ყოველთვის ღიაა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების კარი. საჭიროა, ოღონდ, დიდი გულმოდგინება, გარჯა, დაუღალავი ვარჯიში. მხოლოდ მონდომებული მეცადინეობის შემდეგ შეიძლება გქონდეს იმის იმედი, რომ ნამდვილი ფეხბურთელი გამოხვალ, ეს კარგად უნდა ახსოვდეთ ბავშვებს".

**კოტე მახარაძე** (საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სპორტული კომენტატორი): „გუცაევის, შენგელიას, დარასელიას მაგალითი მუდამ თვალწინ უნდა ჰქონდეთ „ტყავის ბურთის" შეჯიბრებათა მონაწილეებს. ივარჯიშონ, ითამაშონ, ნუ იზარმაცებენ და წარმატება მოვა, აუცილებლად მოვა! სწავლა და ფეხბურთი კარგი მეგობრები არიან".

როგორც ვთქვით, თბილისის გათამაშებაში 10-11 წლის ნორჩებს შორის „მართვემ" მეორე ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, ეს წარმატებაა, მაგრამ კიდევ უფრო უკეთ ითამაშეს საქართველოს სხვა გუნდებმა და ისიც — მეტოქეთა მინდვრებზე: 12-13 წლის ბავშვები ასპარეზობდნენ სვერდლოვსკში, სადაც რუსთავის „არიშმა" ფინალში სძლია ლიტვის ქალაქ ალიტუსის „პუშინასს" — 3:0, ხოლო უფროს ასაკში (14-15 წლისანი) გურჯაანის „კავკასიონმა" მოუგო ლიტვის „ნერისს" (ქ. იონავა) — 1:0. „არიშისა" და „კავკასიონის" ფეხბურთელები ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

ჩვენს წერილს 1982 წლის „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშების გამარჯვებულთა დასახელებით ვამთავრებთ. გამარჯვება ხომ მუდამ სასიხარულოა, მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით, „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშება განსაკუთრებული რამაა: წაგებული აქ არავინ რჩება! მოგებულია ყველა, ვისაც კი სურვილი აქვს, გამოსცადოს თავისი ძალები დიდ სარბიელზე. ბავშვები მუდამ იმარჯვებენ, იმარჯვებს ფეხბურთიც, ეს ულამაზესი და მარად უბერებელი თამაში.

**რ. აბაშელი**

ფოტო ა. კოტორაშვილისა



# ჭინკების ბრიგადა

**ვახტანგ გოგოლაშვილი**

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

— რა მამალმერთივით დაგვდგომიხარ თავზე, დაჯექი, — შეუღრინა ალიოშამ.

უჩაია ჩამოჯდა. ერთხანს დუმდა, მერე ძლივძლივობით ამოღერღა:

— დღეს ძალიან გადამარჩინეთ. თქვენ რომ არა, ნამდვილად მომკლავდნენ.

— შენი სიკვდილით ქვეყანას არაფერი დააკლდებოდა, მაგრამ ომიდან დაბრუნებული მამაშენისთვის რა ამბავი დაგვეხვედრებინა? — თქვა ზურიკომ.

უჩაია ზურიკოს სიტყვებზე ოთხად მოიკაკვა:

— მაშინაც არ ვიყავი თქვენთან მართალი.

— ძვირი კი დაგიჯდა იმის გაგება, რომ მართალი არ იყავი, — მუჭაში ჩაიფხუკუნა თეონამ.

— ერთი სიტყვით, რაც იყო, იყო! — გულიანად გაიღიმა ლამარამ.

— კარგი სათქმელია, „რაც იყო, იყო!" — წამოპილპილდა ზურიკო. — დადის, ჩხუბობს, დანას ატრიალებს...

— შემოდგომაზე თვრამეტი წლისა გავხდები და ჯარში წავალ. ჩვენს კომისარს ვთხოვე, ლენინგრადის ფრონტზე გამგზავნოს. მამაჩემიც იქაა. დამპირდა და რა ვიცი...

— შემოდგომამდე ნახევარი წელიწადია. შენ თუ მანამდე ასე უსაქმოდ იწანწალე, ან ვიღაცა მოგკლავს, ან ციხეში ამოყოფ თავს. ყოველთვის ალიოშა ციხელაშვილის იმედზე ხომ არ იქნები.

ზურიკოს სიტყვებზე სიჩუმე ჩამოვარდა. პავლემ შეატყო, რომ საუბარში ჩარევის დრო დადგა. თეონას გამოჰკითხა, რაზე საუბრობდითო. მერე დინჯად მობრუნდა და თქვა:

— რა იქნება, ეს ყმაწვილი „ჭინკების ბრიგადაში" რომ აიყვანოთ დამხმარე მუშად? ახლა თქვენი დაზგა დამკვრელური ტემპით მუშაობს. რკინის ბურბუშელაც მეტი გროვდება. კვალიფიციური მუშების მოცდენა არც ღირს ნათალის გასატანად. ვფიქრობ, არ იქნება ცუდი.

უჩაიამ იმდენი რუსული კი იცოდა, რომ პავლეს ნათქვამი გაეგო. სახეზე არაფერი დასტყობია, მაგრამ, მგონი, საწყენად არ დარჩენია მისი სიტყვები. ლამარამ ხელები გაშალა და აყვირდა:

— რას ამბობ, პავლე?! უჩაიას მუშაობა ვის გაუგია? გინდა, მთელი სასწავლებლის სასაცილო გავხდეთ?

უჩაიამ გაბრაზებით გადახედა ლამარას, წამოდგა, შეტრიალდა, წასვლა დააპირა, მაგრამ მაინც აითრია ფეხი.

ალიოშა აქამდე მდუმარედ იჯდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა მეგობრების კამათს. წამოდგა, მუჭში ჩაახველა და უჩაია თავისთან მიიხმო. ბულდოგა უსიტყვოდ მიუახლოვდა. ალიოშა მეგობრებისაკენ მოტრიალდა.

— პავლემ მართალი თქვა. უჩაია, გინდა ჩვენთან მუშაობა?

უჩაიამ მხრები აიჩეჩა.

— ამას დამიხედეთ, თავპატიჟსაც რომ იდებს! — გაბრაზდა ლამარა.

— რა შუაშია თავპატიჟი, კაცი ხომ უნდა დაფიქრდეს, — გამოექომაგა ენაგადაყლაპულ აწოწილს თეონა.

— თუ გინდა, ხვალ დილით დეპოში მოდი, ცხრას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, — დასვა წერტილი ალიოშამ.

დაისვენეს და ქუთაისისაკენ გაუყვნენ გზას.

უკან, ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დაფიქრებული უჩაია მისდევდათ.

## თავი მეშვიდე

— უჩა! — კარებისაკენ გასძახა ალიოშამ.

— უჩაია! — მთელი ხმით გასწივლა ლამარამ.

პასუხი არ გაუგონიათ.

— კიდევ დაკარგეს თავიანთი ოქროს მუშა, — ჩაილაპარაკა მეორე დაზგასთან მდგომმა კოტიკო ქორიძემ.

— ლამარა, დადექი ერთი დაზგასთან. მე და თეონა, მოვძებნით.

— რა მოძებნა უნდა, ეზოში იქნება, მესერზე მიყუდებული.

ალიოშა და თეონა ეზოში გავიდნენ და ირგვლივ მიმოიხედეს. უჩაია მართლაც მესერს მიყრდნობოდა და გაზეთის სქელ ქაღალდში გახვეულ პაპიროსს აბოლებდა. მათ დანახვაზე პაპიროსი ძირს დააგდო, ქუსლით მოსრისა და შემოტრიალდა.

— მე უნდა წავიდე.

— მაინც საით აპირებ?

— არ ვიცი. კომისართან მივალ. იქნებ როგორმე მოვახერხო და ცოტა ადრე გამიშვან ფრონტზე... ხომ ხედავ, რა ამბავია, გერმანელები ლამისაა სახლში შემოგვიცვივდნენ. თითო მეომარი ახლა ოქროს ფასი ღირს.

— მაშ, ფრონტზე აპირებ. არა?.. ფრონტზე, ხომ?..

უჩაია უცებ ჩაჯდა მიწაზე, მუშტი მუხლზე დაიკრა და ლამის იყო ცრემლმორეული აყვირდა:

— რა ვქნა, ძმაო, არ შემიძლია ამ რკინეულობის

დასასრული. იხ. „პიონერი" № 8, 9.

თრევა. გაიგეთ რა, მაგას ყანის თოხნა მირჩევნია. ხომ ხედავთ, მოვინდომე, გავწვალდი... არ გამომდის და რა ვქნა?

ყმაწვილები ერთხანს დუმდნენ. ბოლოს თეონამ დაარღვია სიჩუმე:

— შენ გგონია, ჩვენ შეგვიძლია?.. ჩვენ არ ვიღლებით?.. არ გვიჭირს?.. ახლა კიდევ რა უშავს, თავიდან საშინელ დღეში ვიყავით. მუშაობის დაწყებიდან მეორე თუ მესამე დღეს იყო, ალიოშამ ხელი მოიწეწკვა რკინის ბოყვებში, სწორედ ამ მესერთან იდგა და პატარა ბიჭივით ტიროდა. ძლივს გავაჩუმეთ...

ალიოშას გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ თეონას გამოხედვა დაიჭირა და ენას კბილი დააჭირა. უჩაიამ შეათვალიერა ალიოშას ზორბა ტანი, წარმოიდგინა ბავშვივით აბღავლებული ეს ვეება ბიჭი, გაიღიმა და ჰკითხა:

— მართლა ტიროდი?

— მართლა, მაშ... — თავი დაუქნია ალიოშამ.

— მერე რას ფიქრობ, ფრონტზე უფრო იოლია თუ ქარხანაში? — ისევ ალაპარაკდა თეონა. — აქ დაიღლები და დაისვენებ. იქ კი... როგორ გგონია, დასასვენებლად სცალია ახლა მამაშენს ლენინგრადის ბლოკადაში?

უჩაიას ხმა არ გაუღია, ისე ჩუმად გაეკიდა ქარხნისაკენ შებრუნებულთ. საამქროშიც არავის დაუძრავს სიტყვა, მხოლოდ ლამარას არ მოუთმინა გულმა.

— კარგი რა, უჩაია, წელი მომწყვიტა ბურბუშელის თრევამ. რო დაყუდებულხარ და აფუილებ პაპიროსს, ჩვენზეც იფიქრე ცოტა.

უჩაიამ უსიტყვოდ მოიგდო მხარზე რკინის ბურბუშელებით სავსე ყუთი და ეზოსკენ გასწია. თეონა საჭრისს აწვებოდა და თხელ ხვეულებს ქარგავდა ლითონზე. ლამარა წყლის წვრილ ჭავლს უმარჯვებდა. ალიოშა და ზურიკო ბოყვებს ამარაგებდნენ, ტერიტორიას ასუფთავებდნენ და ნათალს ყუთში ყრიდნენ.

ასე გაგრძელდა ცვლის ბოლომდე. მხოლოდ თითოოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს მეგობრები. ბოლოს საყვირის ხმა გაისმა და აიშაბაშეს. დაზგაჯემალ უკლებას ბრიგადისათვის სამუშაოდ გაამზადეს და ეზოდან გავიდნენ. ერთხანს ერთად მიდიოდნენ. შემდეგ უჩაიამ მწვანე ბაზრისკენ ჩაუხვია, ბარემ დედას ჩავეხმარები სამსახურშიო. დანარჩენები სასწავლებლისაკენ გაუყვნენ. წასვლის წინ თეონამ უჩას ხელი წაჰკრა:

— არ დაგავიწყდეს, შვიდ საათზე სადგურში იყავი. ძილმა არ წაგძლიოს, ქარხანაში დაგვიანებას მიჩვეული ხარ.

— რას ამბობ, ზუსტად შვიდ საათზე იქ ვიქნები.

●

იმ დღეს ჯუნისი ხაჭვანმა დილითვე მიაკითხა ქალაქის სამხედრო კომისარს, დათიკო ბახტაძეს კომისარიატში. კარგს არაფერს ელოდა, ეგონა, ისევ უკან გამომაბრუნებსო. მაგრამ დათიკომ, მოკრა თუ არა თვალი ჯუნისის, მხიარულად დაუქნია თავი. ჯუნისი ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ დათიკომ სიტყვაც წამოაშველა:

— შემოდი ბარემ, რას გაჩერებულხარ კარებში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაბინეტში დათიკოს გარდა ორნი იყვნენ. კარლო ონიანს, ცხრაჯვრის ტურისტული ბაზის ინსტრუქტორს, ტანმორჩილ, ქერათმიან, შესახედავად სუსტ ახალგაზრდას კარგად იცნობდა. შესახედავად ჩანდა სუსტი, თორემ ომამდე საუკეთესო მთამსვლელი იყო. იქვე პავლე გოლიკოვი იდგა. ჯუნისი ორ-სამჯერ შეხვედროდა მას თავის უმცროს მეგობრებთან. ორთავეს მიესალმა და გაკვირვებული შეჩერდა კომისრის წინ.

— ხაჭვანო, შენ მგონი მთამსვლელი ხარ, არა?



პასუხი კარლო ონიანმა დაასწრო. იმდენი აქო, გააწითლა კაცი.

დათიკო ბახტაძე ჩაფიქრდა: მერე დინჯად ასწია თავი და თქვა:

— თუმცა ყველა სვანი მთამსვლელი არ არის?.. უნდა გაემზადოთ, მეგობრებო, ხვალ შვიდ საათზე გაჰყვებით სამხედრო ეშელონს თბილისისაკენ. თბილისში მთამსვლელთა დივიზია ყალიბდება. მაგრად უნდა დავცხოთ გერმანელებს კავკასიონთან. თქვენი იმედი მაქვს, არ შემარცხვენთ. ჩვენს გასაწვევ პუნქტში სულ ათიოდე კაცი შეგროვდა. აბა თქვენ იცით! — უცებ დაამთავრა კომისარმა და სამთავეს მაგრად ჩამოართვა ხელი.

მეორე დღეს ეშელონის გასვლამდე მთელი ნახევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათით ადრე შეიკრიბნენ ვაგზლის შენობაში წამსვლელებიც და გამცილებლებიც...

თეონას, ლამარას, ალიოშასა და ზურიკოს გული წყდებოდათ, ვერ წარმოედგინათ, უპავლეოდ როგორ გაძლებდნენ. საუბრისათვის თავი ვერ მოებათ. აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ.

— რა დაგემართათ, კაცო, რა ცხვირები ჩამოგიშვიათ, — გაიღიმა პავლემ, — ნუ შიშობთ, მივუნგრევ ცხვირპირს გერმანელებს და დავბრუნდები. აქაურობა ისე მომეწონა, იქნებ ომის შემდეგ სულაც აქ დავსახლდე. ჩამოვიყვან დედაჩემსაც და ვიცხოვრებთ წყნარად. ომში ზეინკლობა იქნებ დამავიწყდეს კიდეც. არა უშავს, აქ არა ხართ? ცოტას წამამეცადინებთ და მორჩა!

ვაგზალში უჩა შემოვიდა, მიმოიხედა, პავლე და ალიოშა იოლად გამოარჩია აჟრიამულებული ხალხის ზღვაში და მათკენ გამოემართა.

სადგურზე ზარი ჩამოკრეს. კარლო ონიანმა ვაგზალი მოათვალიერა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— აბა, ბიჭებო, მოვემზადოთ.

მეგობრები სათითაოდ გადაეხვივნენ პავლეს. ყველას უნდოდა, გამოთხოვებისას რაიმე ტკბილი სიტყვა ეთქვა.

— თუ დაიჭერი, უთხარი, ქუთაისის ჰოსპიტალში გამოგგზავნონ. დედამ თქვა, პავლე მთელ ჰოსპიტალს საკუთარი შვილივით შეუყვარდაო. ჩვენც დაგელოდებით.

— წერილების გამოგზავნა არ დაგავიწყდეს, — ჩაურთო ალიოშამ. ისე, მაინც უთხრა, თორემ კარგად იცოდა, ფრონტზე ხშირად როდი მოიცლიდა კაცი წერილების საწერად. აგერ, რა ხანია მისი ძმა კაკოიაც არ იწერება წერილებს.

— მთელ ბრიგადას მოგვწერე და კოლექტიურად წავიკითხავთ ხოლმე.

თეონას ლამარამ წაართვა სიტყვა:

— მერე, როცა გმირი გახდები, ჩვენს ბრიგადას შენს სახელს მივანიჭებთ. რა კარგი იქნება: საბჭოთა კავშირის გმირის პავლე გოლიკოვის სახელობის „ჭინკების ბრიგადა“.

— ამასობაში თქვენც კაიხელა ეშმაკები დაიზრდებით, სულ „ჭინკებად“ ხომ არ დარჩებით, — გაიღიმა პავლემ, მერე ყველას გამოეთხოვა და კარლოსკენ გაეშურა. გვერდით მხოლოდ უჩა მისდევდა. ერთხანს დუმდა, მერე ხმადაბლა ჰკითხა:

— კავკასიის ფრონტზე მიდიხარ, ხომ?

— აბა, რა ვიცი, ჩემო უჩა. ახლა ყველაზე მეტად კავკასიის ფრონტს უჭირს, მაგრამ საითაც უფროსები გვეტყვიან, იქით წავალთ.

— შეიძლება ლენინგრადის ფრონტზეც მოხვდე? — უფრო დაუწია ხმას უჩამ.

— შეიძლება, რატომაც არა?

— იქნებ მამაჩემიც შეგხვდეს სადმე. რა არ ხდება ქვეყანაზე!

— თუ შემხვდა, შენს ამბავს ჩავუტან. ნუ გეშინია, ვეტყვი, კარგი ზეინკალი დადგა-მეთქი. სანამ მე მამაშენს ვნახავ, ზეინკლობასაც ისწავლი.

— ჰო, ალბათ, ვისწავლი... ისიც უთხარი, რომ შემოდგომაზე თვითონაც წავალ ფრონტზე. ვეცდები ლენინგრადში მოვხვდე. აუცილებლად მოვძებნი... ის არ უთხრა, დედა რომ ავადმყოფობს.

— არა, კაცო, მაგას როგორ ვეტყვი. ამასობაში დედაშენიც ხომ მორჩება.

უჩა უცებ წინ წაიხარა, პავლეს ლოყაზე უხერხულად აკოცა და გამოტრიალდა.

მეგობრები სადგურის მოედანზე ელოდნენ. ხუთივენი მდუმარედ გაუდგნენ გზას.

ეშელონი დაიძრა.

## თავი მერვე

დილით ლამარა საამქროს კარებთან ელოდებოდა „ჭინკების ბრიგადის“ დანარჩენ წევრებს. ალიოშა, თეონა და ზურიკო ერთად გამოჩნდნენ. ყველაზე ბოლოს უჩა მოვიდა.

— აბა, მომყევით და არაფერი გაიკვირვოთ. — განაცხადა ლამარამ.

გოგოს თვალები უციმციმებდა, ტუჩებზე მომდგარ ღიმილს ვერ იკავებდა. თეონას ხელი ჩაჰკიდა, თავიანთი საამქრო თითქმის სირბილით გაატარა და მთავარ საამქროში გაიყვანა. დანარჩენებიც აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვნენ.

მიირბინეს და მაღალ ბეტონის კედელთან შედგნენ.

კედელზე ლამაზად გაფორმებული მოწინავეთა დაფა ეკიდა. ეს დაფა ადრეც არაერთხელ უნახავთ. ყოველთვის ალტაცებით უცქეროდნენ მასზე გამოკრულ სურათებს. ამიტომაც ჯერ ოდნავი გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მერე ყურადღებით შეათვალიერეს საპატიო დაფა და სიხარულისაგან სუნთქვა შეეკრათ.

სულ ბოლოს, მოწინავე ოსტატის, ვერა იოსელიანის სურათის გვერდით, თეონა ნებიერიძის სურათი ეკიდა. ფოტო ძველი იყო, მეხუთე თუ მეექვსე კლასში გადაღებული, მაგრამ მასზე თეონა უფრო მხიარული, ჯანსაღი და ღიმილიანი ჩანდა. ქვევით წარწერა ჰქონდა. მხატვარს დიდი გულმოდგინება გამოეჩინა, წითელი, მრგვალი ასოებით ლამაზად გამოეყვანა — „თეონა ნებიერიძე. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის მერვეკლასელი, პრაქტიკანტთა ბრიგადის ბრიგადირი. ბრიგადამ დეკადის გეგმა 300 პროცენტით შეასრულა“.

ხუთმა „ჭინკამ“ ყიჟინით აიკლო იქაურობა. თეონა გაოგნებული და დაბნეული იდგა.

— რატომ მარტო მე?. აკი მთელმა ბრიგადამ შეასრულა გეგმა?

ბავშვებს გარშემო უფროსები შემოეხვივნენ. თეონას ულოცავდნენ, ხელს თანატოლივით ართმევდნენ, თანაც გაკვირვებით ათვალიერებდნენ ამ მილეულ, ფერმიხდილ გოგონას, რომელმაც ასე დიდი პატივი დაიმსახურა. მერე საყვირის ხმა გაისმა და დაზგებიც ახმაურდა...

კარგად დაწყებული დღე მაინც ცუდად დამთავრდა.

ცლის ბოლომდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი. დაზგაზე დეტალი შეცვალეს და პირველი თლა ლამარამ დაიწყო. ზურიკო წყლის ჭალს უმარჯვებდა. ალიოშა ნამზადის შემოსატანად გავიდა. ყუთზე ჩამომჯდარი თეონა ისვენებდა. უჩამ, როგორც კი თავისუფალი წუთი გამონახა, თავისი ცერისსისხო პაპიროსი გააბოლა და, როგორც ლამარა იტყოდა, „გასაფუებლად“ ეზოში გაიძურწა.

ბურბუშელა დაგროვდა და ლამარა აჯუჯღუნდა:

— კიდევ გაიპარა ხომ ის უჩაია-ბულდოგი? მეტი არ იქმნა ჩემი მტერი, მაგისაგან არც მუშა დადგეს და არც მეომარი. რკინის ბურბუშელის თრევალა შეუძლია და ესეც ავიწყდება.

— კარგი რა, ლამარა, დააცალე ბიჭს, ძიეჩვიოს, ხომ ხედავ, ცდილობს, — გამოექომაგა თეონა უჩას, წამოდგა და ისე მოულოდნელად დაებღაუჭა რკინის ნათალებით სავსე ყუთს, რომ ზურიკომ წყლიანი მილის გადაგდება და მიშველება ვერ მოასწრო. ცოტაზე წამოწია კიდეც ყუთი, მაგრამ ბოლომდე ვერ აიღო. თავბრუ დაეხვა, ქაღალდივით გათეთრდა და ჩაიკეცა.

— რა არის, გოგო, ჭკუა ველარ უნდა ისწავლო? — დაჰკივლა ლამარამ. — რად გინდა ეს ამხელა სახედრები, რკინაც თუ შენ ათრიე?

ლამარა კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ დაინახა, რომ თეონა ფეხზე ველარ დგებოდა, რაღაც უცნაურად ჩამხობილს წინ გაწვდილ ხელებზე დაედო თავი და მხრები უცახცახებდა.

მუშაობა შეწყდა. მთელმა საამქრომ „ჰინკების ბრიგადასთან“ მოიყარა თავი. გულშეღონებული გოგო მოასულიერეს, მაგრამ ფეხზე დადგომა ველარ შეძლო. სასწრაფო დახმარების მანქანა სირენის კივილით მოვარდა დეპოს კარებთან. ექიმმა ყურადღებით გასინჯა საამქროს უფროსის კაბინეტში სავარძელზე მისვენებული გოგონა.

— საშიში არაფერია. ფიზიკური დაღლილობისა და ნერვიული დაძაბულობის ბრალი უნდა იყოს. ორი-სამი კვირა დასვენება, წოლითი რეჟიმი დასჭირდება, თქვენ კი, — მიუბრუნდა საამქროს უფროსს პეტრე შხიანს, — თუ არ შეწუხდებით, ჰოსპიტალში დარეკეთ, ქალბატონ ნუნუს შეატყობინეთ ქალიშვილის ამბავი.

პეტრე მყისვე ტელეფონისკენ გაიქცა.

სანიტრებმა საკაცე შემოიტანეს, მაგრამ ალიოშამ არავის დაანება. ბუმბულივით აიტაცა გოგოს მსუბუქი სხეული და ფრთხილად, ფეხაკრეფით გაემართა სასწრაფო დახმარების მანქანისაკენ.

ლამარა მანქანაში მოთავსდა თეონასთან ერთად. ალიოშა, ზურიკო და უჩა სირბილით შეუყვნენ საფიჩხიის აღმართს. გულამოვარდნილებმა ის იყო მიირბინეს თეონას ეზოს კარებთან და ჰოსპიტლის მთავარი ექიმის მანქანაც შეჩერდა ჭიშკართან. მანქანიდან იგორ მიხაილოვიჩი და ნუნუ გადმოვიდნენ. ზურიკომ დამამშვიდებელი სიტყვების დადევნება მოასწრო:

— ექიმმა, საშიში არაფერიაო, ნუნუ დეიდა.

მთელი თეთრი იასამნის ქუჩა ნებიერიძეების ჭიშკართან შეიყარა. ეზოში ჩასვლა ერიდებოდათ. ლამარა ოთახიდან აღარ გამოსულა. ბიჭები შევარდისფერებული უნაბის ძირას ისხდნენ და სახელდახელო [illegible] დამთავრებას ელოდნენ.

უჩამ მსხვილი პაპიროსი გააბოლა, საამქროში გამომუშავებული ჩვევის მიხედვით ბიჭებს გაეცალა, ეზო შეათვალიერა, ხალხის თვალიდან მოცილებული კიბის ძირას მიიკუნტა და გააბოლა.

სწორედ ამ დროს გამოვიდნენ აივანზე იგორ მიხაილოვიჩი, ნუნუ და სასწრაფო დახმარების ექიმი. კიბის თავზე შედგნენ და საუბარი გააბეს. მერე ნუნუმ კოლეგები ჭიშკრამდე მიაცილა, მადლობა გადაუხადა, უნაბის ძირას მდგომ ბიჭებს გაუღიმა და სახლში შებრუნდა. ლამარა გამოვიდა, მეგობრებს მიუახლოვდა და თქვა:

— წავიდეთ ახლა. თეონასთან შესვლა მაინც არ შეიძლება. დასუსტებულია და უნდა დაიძინოს.

კიბის ჩრდილს უჩა გამოეყო და მეგობრებს აედევნა. ძალზე შეწუხებული ჩანდა. თეთრი იასამნის ქუჩის ბოლოს, სანამ ერთმანეთს გამოემშვიდობებოდნენ, უჩა ოდნავ დაიხარა, ბომბორა თავი ნაღვლიანად გადააქნია და ამოღერღა:

— იცით, რა თქვა იგორ მიხაილოვიჩმა?

შეჩერდნენ და კითხვით შეხედეს თვალებში.

— გაძლიერებული კვება სჭირდებაო. რძე არის აუცილებელიო. ყველი, კარაქი და მისთანებიო. გლუკოზას მე თვითონ მოგიხერხებთ ცოტაოდენს, მაგრამ საკვების საქმეს რა მოვუხერხოთო, წუხდა.

ყველა ერთბაშად დანაღვლიანდა.

ალიოშა ერთხანს დუმდა. მერე ზურიკოსკენ შეტრიალდა და გადაჭრით თქვა:

— რძისა და ყველის საქმეს ჩვენ მოვაგვარებთ, მე და ზურიკო. კვერცხებსაც ვიშოვნით.

— რას ამბობ, ალიოშა, რძე, ყველი და კვერცხი სად გინდა იშოვნო? — ჩაერია საუბარში აქამდე მდუმარე ზურიკო.

— რადგან ვთქვი, ვიშოვით კიდეც. — ალიოშამ ზურიკოს ხელი სტაცა, ხარაზიშვილების ბაღისკენ გაიტაცა. ნაძვის ძირას, ძელსკამზე ჩამოსხდნენ.

— დედაშენი გააფრთხილე, ზურიკო, ახლავე კურსებში უნდა გავიქცეთ.

— ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ ყოველდღე კურსებიდან ხომ არ ატარებ რძეს? კარგი, ბატონო, პასიკო ბიცოლამ კვერცხი და ყველი იქნებ მოგვცეს, მაგრამ რძეს რას მოუხერხებ?

— ეგ მე ვიცი. ოც წუთში მატარებელი გადის და, თუ კაცი ხარ, ამხელა გზას ფეხით ნუ მაწანწალებ. ბილეთის ფული გამოართვი დედაშენს. შენთვის, თორემ მე კურსების მატარებელზე ბილეთი რომ ავიღო, კონდუქტორი სიცილით მოკვდება.

— კარგი, რა ღირს ბილეთი?

— სამი მანეთი. მარტო იქითობას. აქეთ ფეხით წამოვალთ.

გვიანი სადილობა იყო, როცა კურსებში ავიდნენ. პასიკომ სიხარულით ცას მოჰკიდა ხელი. ალიოშამ შორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

17/59



დან მოუარა დედამისს. თეონაზე ისედაც ბევრი ჰქონდა ნალაპარაკევი. ახლა ხომ აქო, ცაში აიყვანა.

ბოლოს საუბარი თეონას ავადმყოფობის ამბით დაამთავრა.

— ექიმმა თქვა, ყოველდღე ახალი კვერცხი და რძე თუ არ ექნა, შეიძლება ვერც გადაიტანოს ეს ავადმყოფობა, ისეა დასუსტებულიო.

— კვერცხი მთელი კალათა მაქვს, შვილო, [illegible] დაჯენას ვაპირებდი. წაიღე, მაგაზე რავა [illegible] მარა რძეს რა მოვუხერხოთ?

— დედა, თეონას რომ რამე მოუვიდეს...

ალიოშამ ისეთი თვალებით გადახედა დედას, რომ პასიკოს გული ჩაეფუფქა. დედა იყო და ნახევარ სიტყვაში ხვდებოდა შვილის ნააზრევს. ერთხანს დუმდა, მერე ხმადაბლა ამოიოხრა და ისე გაიღიმა, თითქოს მზემ გამოაშუქაო.

— შენ შეგარცხვინა ღმერთმა, ვერ იტყვი, ბიჭო, სათქმელს?.. მე რა მიჭირს, შვილო, მარტოხელა ქალი ვარ. ერთი კარჩხანა ლობიოთი და ჯიჯილაყა ფხალითაც გავიტან თავს. წაიყვანე, აგერ, ჩვენი ჭრელა. ეზოში დასაბმელი ადგილი თუ აქვთ, სხვა არაფერი უჭირს. ზაფხულია, აწი მაგის საჭმელ ბალახს და ფოთლებს საფიჩხიაზე თუ არა, ჭახათაზე მაინც მოძებნით...

მერე დინჯად მიდიოდნენ ქუთაისისაკენ ზურიკო და ალიოშა. სახელურში აქეთ-იქით ჩაეკიდებინათ ხელი კვერცხებით სავსე კალათისათვის და ფრთხილად მიჰქონდათ. მიდიოდნენ და ჭრელას მიდენიდნენ. გატიკნილი, სავსე ცური პატარა ტიკჭორასავით ეკიდა ძროხას. გამოწველაც არ დაანება ალიოშამ დედამისს, იქნებ თეონას ახალმოწველილი რძე ესიამოვნოსო.

ჭრელა თეთრი იასამნის ქუჩის ხუთ ნომერში შედენეს, სახლის უკან გაიყვანეს და კარალიოკის ტანმორჩილი ხის ძირას მიაბეს. აბა, მაშინ ატყდა აურზაური! ჯერ ბაბუცამ შეიცხადა. ძროხა და მისი ფუნები გვაკლდა ახლა ხწორედო. კარგა ხანს კაპასობდა, მაგრამ ზურიკომ რომ აუხსნა, თეონას თუ ყოველდღე ახალი რძე არ ვასვით, არ მორჩებაო, მყისვე ჩაიკმინდა ხმა. ის კი არა, დაბნეულ და გახარებულ ნუნუს პირველმა შეაგება სიტყვა:

— ოღონდ ჩემი თეონა კარგად იქნებოდეს და, ხმას არ გავიღებ, თუნდაც ეგ ძროხა აგერ ჩემს საწოლ ოთახში დამიბითო.

მეზობელმა ლადო წითურმა გადმოირბინა. იმანაც დააიმედა ნუნუ:

— ხვალვე ისეთ პატარა, კოხტა გომურს აგიშენებ, კაცის თვალი ვერაფერს ნახავს უკეთესს. არც წვიმა შეაწუხებს, არც ქარი. ხის მასალა მაქვს. ხომ გახსოვს, ოთახის მიშენებას ვაპირებდი. ახლა მაგისთვის ვილას სცალია. ჩემი ბიჭი ცოცხალი დამიბრუნდეს და ოთახს ერთს კი არა, ხუთს მივაშენებ.

ცრემლმორეულმა ნუნუმ ალიოშა მიიზიდა, შუბლზე ვერ მიწვდა, ნიკაპზე აკოცა და გულაჩუყებულმა ჩაილაპარაკა:

— მოწველა მაინც ვიცოდე, ეს ოხერი.

მეზობელი ეზოდან დაბალ ღობეზე თინა შარიქაძემ გადმოყო თავი.

— მაგაზე რა გადარდებს, ჩემო ნუნუ. აგერ არა ვარ? ყოველ დილა-საღამოს გადმოვალ და გამოგიწველი. ერთი ქოთანი გამომიტანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეონამ ქვეყანა დააქცია, ჩემი ჭრელა დამანახეთო. ნუნუ გაუჯავრდა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოლოს თოჯინასავით გაახვიეს შალის საბანში, ალიოშამ პატარა ბავშვივით აიტატა, ეზოში გამოიყვანა და სკამზე ჩამოსვა. უყურებდა თეონა ჭრელას და ისე იღიმებოდა, თითქოს ავად არც ყოფილიყოს.

იმ ღამეს ყველამ კარგ გუნებაზე დაიძინა თეთრი იასამნის ქუჩაზე.

## თავი მეცხრე

მაისი მიიწურა და სასწავლებელში გამოცდები დაიწყო. თეონამ, თუმცა სასწავლებელში კაი გაყოლა გაუცდა, ხუთებზე ჩააბარა. არც ლამარასა და ზურიკოს დაწყვეტიათ გული. ალიოშამ კი ყველას წაამწარა ზაფხული. ალგებრაში ორიანი მიიღო და საშემოდგომო გამოცდა გამოყვა. მერე მთელი ზაფხული ისე გაატარა, ხან თეონა უჯდა გვერდით, ხან ლამარა და ხან ზურიკო. ოთხივენი ერთმანეთზე უფრო გაწვალდნენ, მაგრამ ბარემ წინასწარ გეტყვით, საშემოდგომო გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა. პროკოფი მასწავლებელი ჯერ შეყოყმანდა და იჭვიანად შეეკითხა: „ბილეთი ხომ არ გქონდა დანიშნულიო?“ მაგრამ დამატებით შეკითხვებზეც რომ მშვენივრად გასცა პასუხი ალიოშამ, პირჯვარი გამოსახა, ჟურნალში ოთხიანი ჩახატა და წაიბუტბუტა — „დიდ არს, უფალო, სახელი შენიო“. მერე სამასწავლებლოში ხუმრობდა: „ამ მამაძაღლებმა, მგონი, რაღაც მიხიმანკლეს, ალიოშა ციხელაშვილი შემიცვალესო...“ მაგრამ ამბებს ცოტა წინ გავუსწარით. ეს ზაფხულის მიწურულს მოხდა, სწავლის დაწყება უკვე მოახლოებული რომ იყო. ზაფხულის მიწურულს მეორე ღირსშესანიშნავი ამბავიც მოხდა — უჩა ჯარში წაიყვანეს. მართალია, თვითონ დიდი იმედი ჰქონდა, კომისარი დამპირდა, ლენინგრადის ფრონტზე გაგგზავნიო, მაგრამ, როგორც ჩანს, დათიკო ბახტაძეს უმაღლესი მთავარსარდლობა სამხედრო ძალების განაწილების საქმეში ბევრს არაფერს ეკითხებოდა. უჩა შუა აზიაში გაგზავნეს, უმცროს ოფიცერთა მოსამზადებელ სამხედრო სასწავლებელში. ხუმრობდა, იცის მთავრობამ, სწავლა ნამეტანი რომ მიყვარს და ამ ომის პერიოდშიც აღარ მომაცდინაო.

საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში გამოცდები მიიწურა. ივნისის ბოლო დღეები იყო, როცა დირექტორმა სარდიონ კაპანაძემ მერვეკლასელები ნიშნების გამოსაცხადებლად საერთო კრებაზე დაიბარა.

კრებაზე სარდიონმა ყველას მიულოცა მერვე კლასის დამთავრება. შრომით საქმიანობაზე ილაპარაკა. ისიც ახსენა, ორი თუ სამი ორიანი დაიწერა გამოცდაზე, მაგრამ, იმედი მაქვს, საშემოდგომოდ მომზადებული მოვლენ და კლასს ასპროცენტიანი მოსწრება ექნებაო. გვარი არავისი დაუსახელებია და თეონას ბრიგადის წევრებსაც გულზე მოეშვათ. ალიოშას ორიანის ამბავი ისედაც მთელმა კლასმა იცოდა, მაგრამ დირექტორის პირიდან ამ ამბის გაგონება არ უნდოდათ.

შუა ლაპარაკში იყო სარდიონ კაპანაძე, როცა ოთახის კარი გაიღო.

პეტრე შხიანი და ქალაქის კომისარი დათიკო ბახტაძე შემოვიდნენ. პეტრეს დანახვა არ გაკვირვებიათ, თუმცა არ ელოდნენ. დათიკოს გამოჩენა ნამდვილად მოულოდნელი იყო. კლასი აჩურჩულდა. დირექტორმა ახალმოსულებს ხელი ჩამოართვა, მაგიდასთან მიიწვია და სიტყვა განაგრძო:

— კარგად რომ იშრომეთ, ამაზე უკვე გელაპარაკეთ. განსაკუთრებით ნებიერიძის ბრიგადის წევრებმა გამოიჩინეს თავი. არა, გული არ გეტკინოთ, ყველამ ძალიან მოინდომეთ, მაგრამ ნებიერიძის ბრიგადის რაციონალიზატორულმა წინადადებამ დიდი მოგება მოგვცა. ამხანაგი პეტრე მეუბნებოდა, ფრონტის დაკვეთის შესრულება „ჭინკების ბრიგადის“ დაუხმარებლად ძალიან გაგვიჭირდებოდაო. მინდოდა თვითონვე ეთქვა თავისი სათქმელი პატივცემულ პეტრეს, მაგრამ მე მთხოვა, მაინცდამაინც ლაპარაკის ოსტატი არა ვარო და შენ თვითონ მოახსენე ბავშვებსო. ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, ქუთაისის დეპოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ შრომის დამკვრელის თეონა ნებიერიძის ბრიგადა ორთქლმავლების შეკეთებაზე გადაიყვანოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარდიონს, ეტყობოდა, კიდევ ჰქონდა რაღაც სათქმელი, მაგრამ ამის შემდეგ ვინღა გააჩერებდა ბავშვებს. ისეთი ჟრიამული, ტაშისცემა და ვაშას ძახილი ატეხეს, პეტრე ულვაშებში იღიმებოდა და ალერსიანი თვალებით მისჩერებოდა „ჰინკებს". დათიკო ბახტაძეს დამუშტული ხელები ერთმანეთზე დაედო, ზედ ვეება ოთხკუთხედი ნიკაპი ჩამოეყრდნო და სადღაც მაღლა იყურებოდა, არც ესმოდა, რა ხდებოდა გარშემო. თეონა, ალიოშა, ლამარა და ზურიკო სიხარულისაგან აპილპილებულნი, უნებურად ფეხზე წამოდგნენ და აღარ იცოდნენ, საით დაემალათ სიხარულისაგან აელვარებული თვალები. სარდიონ კაპანაძემ ერთხანს სცადა აჟრიამულებული ბავშვების დამშვიდება, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. არა, თვითონაც ხმას არ უწევდა, ღიმილმორეული გადასცქეროდა მღელვარე კლასს, თორემ რა გაუჭირდებოდა! ალბათ იფიქრა, უფრო სასიხარულო რაღა შემიძლია ვთქვაო, ხელი ჩაიქნია და პეტრესა და დათიკოს მიუჯდა გვერდით.

კრება თითქმის დამთავრდა. მაგიდასთან მსხდომ უფროსებს ერიდებოდნენ, თორემ ბავშვებს ახლა შენობაში რა გააჩერებდა. დათიკო ბახტაძე სარდიონს მიუბრუნდა, წყნარად ჰკითხა, მეტი ხომ არაფერი გაქვს სათქმელი, ბატონო დირექტოროო, და როცა უარის ნიშნად სარდიონმა თავი გააქნია, ხმამაღლა დაუმატა:

— მაშინ, თუ შეიძლება, მე მათქმევინეთ ორიოდე სიტყვა.

სარდიონი ფეხზე წამოდგა. მისი შუბლის შეკვრა და თვალის ერთი გადავლება საკმარისი გახდა, რომ სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

— ახლა სიტყვა ეძლევა ქალაქ ქუთაისის სამხედრო კომისარს, ლენინის ორდენოსან, მაიორ დათიკო ბახტაძეს.

დათიკო ადგა, ჯიბიდან სათვალე ამოიღო, კარგა ხანს წმინდა, მერე საქაღალდე გახსნა, რაღაც ფურცელი ამოირჩია, წინ დაიდო, თავი ასწია, ბავშვებს გადახედა და დაიწყო:

— მეგობრებო, თქვენთან დღეს ფრიად სასიამოვნო მისიით ვარ მოსული. უნდა შეგატყობინოთ, რომ ფრონტისათვის დიდი დახმარების გაწევისათვის და თავდადებული შრომითი მამაცობისათვის სარდლობის ბრძანებით საბრძოლო მედლით „კავკასიის დაცვისათვის" დაჯილდოებულნი არიან...

დათიკო ბახტაძემ ხელში ქაღალდი აიღო, კიდევ ერთხელ გადახედა დადუმებულ მსმენელებს და ახლა უკვე კითხვით განაგრძო:

თეონა კაპიტონის ასული ნებიერიძე,

ლამარა ვლადიმერის ასული ლომიძე,

ალიოშა იოსების ძე ციხელაშვილი,

ზურაბ იოსების ძე ტყეშელაშვილი,

პავლე ნიკოლოზის ძე გოლიკოვი...

სჯობია აქ დავამთავროთ ჩვენი თხრობა, თორემ იმ ამბის აღწერას, რაც მაშინ ქუთაისის № 4 საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის საერთო კრებაზე ხდებოდა, რა კალამი შეძლებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო, ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ




ჩვენი სტუმარია
ესტონეთის სსრ
საბავშვო ჟურნალი
„პიონერი"

## მშობლიური სკოლა

ბაღში, პატარა, რიყის ქვის ღუმელში შეშა ტკაცუნობს, ტკაცუნობს და ნაპერწკლებს ისვრის..

დროდადრო ალუბლის წვენს მივირთმევთ. ალუბალი ამავე ბაღისაა. გასულ შემოდგომაზე ანდრესმა თავისი ხელით დაკრიფა. ახლა ხეებს უკანასკნელი ყვავილი სცვივათ. გაზაფხულია. სრულიად ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს თავისებური გაზაფხული.

ცოტა ხნის წინ ანდრესის დედამ შეახსენათ, უკვე ძილის დროაო — რა თქმა უნდა, აბიტურიენტებმა გაზაფხულზე ძალა უნდა მოიკრიბონ, დღეს კი კიდევ ერთმა გამოცდამ ჩაიარა ბედნიერად...

კიდევ ორჯერ მოუხდებათ საგამოცდო მაგიდასთან მისხდომა. კიდევ ორჯერ და შემდეგ კი მოულოდნელად ყველაფერი სულ სხვანაირად წავა, ვიდრე აქამდე იყო თერთმეტი წლის განმავლობაში.

— ნამდვილად უცნაური გრძნობაა, — ამბობს ევე, — მერვე, მეცხრე და მეათე კლასშიც კი დასასრული ასე შორს გვეჩვენებოდა! ხანდახან ვფიქრობდი, ნეტავ, როდის დამთავრდება ეს ტანჯვა-წამება-მეთქი. ახლა კი როგორღაც არ შემიძლია დავიჯერო, რომ სკოლასთან სამუდამოდ მომიწევს დამშვიდობება.

— დიახ, — დაეთანხმა მატი, — მაშინ ყველაფერი უფრო ნათელი იყო, მეცხრე კლასში ზუსტად ვიცოდი, რა უნდა გამოვსულიყავი, ახლა კი აღარ ვიცი. გინდათ, გულახდილად გითხრათ, რისი გაკეთება მინდა შემოდგომაზე? მინდა მშობლიურ სკოლაში შევიდე, ფანჯრის მხარეს რომ რიგია, იქ უკანასკნელ მერხზე დავჯდე და წიგნი გადავშალო.

— იცით, როდის გამიჩნდა ეს მშობლიური სკოლის შეგრძნება?, — კითხულობს ანდრესი. — მაშინ სწორედ მერვე კლასი დავამთავრეთ. მეორე თუ მესამე წელი იყო, რაც სკოლის სასულე ორკესტრში ვუკრავდი. ყოველ გაზაფხულზე ერთმანეთს ვუთავსებდით შრომას და ბანაკში დასვენებას. ვცხოვრობდით მეურნეობაში, რამდენიმე საათს მინდორში ვმუშაობდით, შემდეგ კი ვუკრავდით. ერთხელ, მთელი ორკესტრით წავედით ლაშქრობაში. გავჩერდით სადღაც სადგურის მახლობლად, მე და რაინი ცეცხლთან ვმორიგეობდით და მომავლის გეგმებს ვაწყობდით. ის შემოდგომაზე ტექნიკუმში აპირებდა ჩაბარებას. მაშინ უცებ ვიგრძენი, რომ ნამდვილად ვერ შევძლებდი სადმე სხვა სკოლაში, ახალ კოლექტივში მისვლას. იმიტომ კი არა, რომ მე შინიდან მოშორებისა შემეშინდა. ახალგაზრდებს ხომ დამოუკიდებლად ცხოვრება რომანტიულად ეჩვენებათ, ვიდრე შინ დედ-მამის ფრთის ქვეშ ყოფნა. თანაკლასელებზე მწყდებოდა გული, მასწავლებლებზეც და ზუსტად არ ვიცი კიდევ რაზე...

ლი ბიჭებს ჩაფიქრებული უსმენდა. ახლა ის საკმაოდ მოულოდნელ აზრს გამოთქვამს:

— იცით რა! თქვენ ორივე მშიშარა ხართ! შენ, ანდრეს, მერვე კლასის მერე უბრალოდ შეგეშინდა ახალ გარემოში მოხვედრა. მატის კი ამისი ახლაც ეშინია. რა თქმა უნდა, მშობლიურ სკოლაში თქვენთვის ყველაფერი ნაცნობია, ყველაფერი იცით. მაგალითად, თუ თქვენ კრებიდან გაპარვა გინდათ, მშვენივრად იცით, რომ შინ შეუმჩნევლად წასვლა ფიზკულტურის დარბაზის გასახდელიდან შეიძლება და თუ რომელიმე საგანში ძალიან გჭირდებათ კარგი ნიშანი, მაშინ ზუსტად იცით, რა უნდა გაითვალისწინოთ. ერთი სიტყვით, ნებისმიერ დროს იცით, როგორ უნდა მოიქცეთ. ახალ ადგილზე თქვენ ეს არ გეცოდინებათ და სწორედ ეს გაშინებთ.

ბიჭები აზარტში შევიდნენ. ლის ვერაფერიც ვერ გაუგია. ევემაც ბიჭებს დაუჭირა მხარი:

— გახსოვს, ლი, რა სთქვი შენ, როდესაც სკოლის დირექტორი ახალი სკოლის მშენებლობაზე გვესაუბრებოდა? შენი სურვილი იყო, რომ სკოლის დამთავრება ძველ შენობაში მოგვესწრო. და შენ სწორედ რომ მართალი იყავი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგრძნობთ, რომ ძველ შენობაში სივიწროვეა და გულში კიდევაც გვშურს, როდესაც სხვა სკოლის ფართო საკლასო ოთახებს ვუყურებთ. შურით, შეიძლება გვშურდეს კიდევაც, მაგრამ საკუთარი სკოლის შენობა მაინც არ გვეთმობა.

მე მახსოვს, როდესაც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო, სკოლაში საკმაოდ შორიდან მიწევდა სიარული. რა თქმა უნდა, უფრო ადვილი იქნებოდა, სადმე ახლოს მესწავლა, ამის შესახებ სახლშიაც ხშირად იყო ლაპარაკი და მაინც ჩვენი სკოლა დავამთავრე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ მხატვართა კონკურსი ასფალტზე ხატვაში

მაშ რა ხდის სკოლას მშობლიურად?

ლი: — რა ხდის სახლს მშობლიურად? აქ ჩვენ ახალი და ძველი სკოლის შენობებზე ვლაპარაკობთ, სახლშიც ასეა: ერთს უფრო ფართო და მყუდრო ბინა აქვს, ვიდრე მეორეს. მშობლიური სახლი კი ყველას მხოლოდ ერთი აქვს. თუმცა ხანდახან ნაწყენი ხარ მშობლებზე, რომლებიც შენი აზრით შენზე არ ფიქრობენ და გიკრძალავენ იმას, რისი გაკეთებაც შენ ძალიან გინდა. შეიძლება, მასწავლებელზეც იყო გაბრაზებული, მაგრამ შემდეგ ხვდები, რომ უფრო ხშირად ისინი მართლები იყვნენ.

ანდრესი: — იმაზეც ბევრია დამოკიდებული, თუ როგორი სკოლაა. მე მგონია, რომ ისეთი სკოლიდან, რომელიც სულ რაღაც ერთი-ორი წელია არსებობს, წასვლა უფრო ადვილია, ვიდრე ისეთიდან, როგორიც, მაგალითად, ჩვენია.

ევე: — ადრე შენ ამბობდი, რომ ყველაზე მეტად ორკესტრის საპარადო ფორმაზე გწყდებოდა გული. ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ თუ დაფიქრდები, ძალიან ბევრია ისეთი შემთხვევა და საგანი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ცხოვრება. ახლა ჩვენები კომკავშირული აქტივის ბანაკში არიან. როგორ მინდოდა იქ ვყოფილიყავი! როცა წიგნებთან ვიჯექი და გამოცდებისათვის ვემზადებოდი, ძალაუნებურად ბანაკზე ვფიქრობდი.

მატი: — ხომ მართლაც ბევრია ისეთი რამ, რაზედაც უარის თქმა არ გინდა. მე ნამდვილად ძალიან დამაკლდება ჩვენი კომკავშირული კლუბი, გამოსაშვები გამოცდების დროს კამათში გატარებული საღამოები, მაგრამ იმაზე ფიქრიც, რომ მომავალში ჩვენ ყველაფერ ამას უნდა მოვაკლდეთ, არ არის სწორი. ალბათ, მომავალშიც ბევრი საინტერესო რამ გველოდება.

ევე: — და მაშინ ვიფიქრებთ, ნეტავ როგორ ვძლებდით აქამდე ყველაფერ ამის გარეშეო.

მატი: — უსათუოდ ვიფიქრებთ. სკოლისა და სტუდენტობის წლები რომ ყველაზე კარგი წლებია, ამას ამბობს ყველა, ვისაც ეს წლები უკვე გაუვლია.

ლი: — მე კი ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტს შრომობ და ზრუნავ სკოლაზე, მით უფრო ახლობელი ხდება ის შენთვის.

ამაში ლის სხვებიც დაეთანხმნენ. მოაგონდათ სკოლის პარკში დარგული ხეები. მატის მაშინ სამი ნიჩაბი გაუტყდა — ისეთი ქვიშიანი მიწა იყო. ახლა ის ღიმილით ფიქრობს, რომ ზოგიერთი ნიჩაბი შეიძლება მთელიც დარჩენილიყო, მას საკუთარი ძალის ჩვენების ასეთი დიდი სურვილი რომ არ ჰქონოდა. გაიხსენეს, როგორ გადააკეთეს სკოლის სპორტსმენმა ბიჭებმა სოფლის ძველი შენობები საზაფხულო სპორტულ ბაზად, როგორ დაეხმარნენ სარაიონო სპარტაკიადაზე სკოლის მძლეოსანთა გუნდს გამარჯვებაში.

კიდევ ბევრი ისაუბრეს იმ საღამოს ღუმელთან: მასწავლებლებზე, თანაკლასელებზე, იმაზე, რაც უკვე გააკეთეს და იმაზეც, რასაც მხოლოდ აპირებდნენ.

დრო ხელში შემოეპარათ. ღუმელში შეშისაგან მხოლოდ ნაკვერჩხლებილა დარჩა. ხვალ კი ისევ წიგნებს უნდა მიუსხდნენ.

ლი წამოდგა:

— დავიშალოთ — ამბობს იგი. — ჩვენ ხომ სხვა დროსაც შეგვიძლია შევიკრიბოთ.

მშობლიურ სკოლაში ყოველთვის შეიძლება შინაურ კაცად დაბრუნდე, მერე რა, რომ თავზე სკოლის მოსწავლის ქუდი აღარ გვეხურება.

•

ზოგიერთს, ალბათ, აინტერესებს რომელი სკოლა დაამთავრეს ლიმ, ევემ, ანდრესმა და მატიმ. საქმე იმაშია, რომ ყოველივე ზემოთ დაწერილი გამოთქვეს შესატყვისი კლასების მოსწავლეებმა, რომელთა მხოლოდ სახელებია შეცვლილი. აქ გამოთქმული აზრები ეკუთვნით:

პიარნუს მე-4 საშუალო სკოლის, ტარტუს მე-10 საშუალო სკოლის, პილტსამაას საშუალო სკოლის, ტალინის მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებულებს. ყველაფერი სიტყვა სიტყვითაა გადმოწერილი ზუსტად ისე, როგორც მაგნიტოფონის ფირზე იყო ჩაწერილი.

ოსკარ ტანერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცეკვის ზეიმზე. ტიია კუკი როსანა, ალიკუს 8-წლიანი სკოლა, V კლასი.

# ერთი ჩვეულებრივი გოგონა

გერდა კანდლა

ის ჩვეულებრივი გოგონაა. გამხდარი. თმა ორი ბაფთით აქვს დამაგრებული. დიდი თაფლისფერი თვალები და ჭორფლი ცხვირზე მას ეშმაკურ და მხიარულ გამომეტყველებას აძლევს. აცვია მოსწავლის ფორმა, უკეთია პიონერული ყელსახვევი.

— როგორ ჩაიარა დღემ სკოლაში?

— კარგად.

— ყოველთვის ასეა?

— არა, ყოველთვის ასე არ არის, დღევანდელი „კარგად“ ნიშნავს, რომ ისტორიასა და მათემატიკაში ხუთები მივიღე, რაზმეულის სამუშაო გეგმა მზადაა, განწყობილებაც მთელი ორი დღის განმავლობაში შესანიშნავი მქონდა. მაგრამ ყოველდღე ასე კარგად როდი მიდის საქმე სკოლაში. მე მხოლოდ ნიშნებისათვის არ ვსწავლობ, მაგრამ „დამაკმაყოფილებელი“ სწორედ ის ნიშანია, რომელიც მე თვითონ არ მაკმაყოფილებს.

— სასკოლო მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

— ჩემი საყვარელი საგნებია ისტორია და გეოგრაფია. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მშობლიური ენაც. რაც შეეხება წერით სამუშაოებს, აქაც ხანდახან შეცდომა გამეპარება ხოლმე. ზოგჯერ ეს ენის კანონების უცოდინარობის ბრალია, ზოგჯერ კი უბრალოდ უყურადღებობისა. დარწმუნებული ვარ, რომ მოსწავლის მხრიდან საგნის სიყვარული, თუ სიძულვილი უპირველეს ყოვლისა მასწავლებელზეა დამოკიდებული. ჩვენი კლასის ხელმძღვანელის ვიიუ კოსეს შესახებ ვიტყვი, რომ ბედმა გაგვიღიმა. მისი გაკვეთილები მეტად საინტერესოა, მაგრამ ამავე დროს მასწავლებელი მომთხოვნიცაა. მეოთხე კლასიდან მოყოლებული, არ მახსოვს არც ერთი ღონისძიება, რომლის მომზადებაში მას ჩვენთან ერთად არ მიეღოს მონაწილეობა. სულ ერთია, იქნებოდა ეს ზამთრის სამხედრო თამაშობები, კარნავალი, ლაშქრობა თუ უბრალოდ შეკრება. თუკი რომელიმე ჩვენთაგანს დახმარება სჭირდება, ყოველთვის შეუძლია თავისი გასაჭირი მასწავლებელს გაუზიაროს. მოკლედ რომ ვთქვათ: ის სწორედ ისეთი მასწავლებელია, როგორიც ჩვენისთანა ცელქებს სჭირდებათ.

— რაზმეულის საბჭოში შენ გაბარია მარშრუტი „ცოდნის სამყარო“. საინტერესოა, შეუძლია თუ არა პიონერულ რაზმს, პიონერულ რაზმეულს ხელი შეუწყოს სწავლის დონის ამაღლებას?

— შეუძლია. მე ახლა მხედველობაში არა მაქვს ისეთი აუცილებელი რამ, როგორიცაა რაზმის საბჭოს წევრების დაინტერესება მათი მეგობრების წარმატებით, შეფობა სუსტ მოსწავლეებზე. ჩემის აზრით, საჭიროა სხვადასხვა საგნებში მეტი ვიქტორინები ტარდებოდეს, რომელთა კითხვები სახელმძღვანელოებიდან იქნება შედგენილი. ასეთ ვიქტორინაში რომ გაიმარჯვო, კიდევ ერთხელ უნდა გადახედო ისტორიის სახელმძღვანელოს ან გაიხსენო გამონაკლისები გრამატიკის წესებიდან. ასეთი ვიქტორინები მუდმივად უნდა ტარდებოდეს, სერიულად. ეს უზრუნველყოფს სწავლისადმი მუდმივ ინტერესს. ამას დავუმატოთ საგნების დღეები და კვირეულები. ჩემი აზრით სარგებლობა მოიტანეს ჩვენს სკოლაში ჩატარებულმა კარგი სწავლის კვირეულებმა. გარდა ამისა, ჩამორჩენილობის თავიდან ასაცილებლად თითოეული მოსწავლე კარგად უნდა იცნობდეს ეფექტური სწავლის მეთოდებს. ამ მეთოდებს კი, ვფიქრობ, უკეთ უნდა გვასწავლიდნენ.

— გასულ წელს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე იყავი, წელს მისი წევრი ხარ. დღეში რამდენჯერ შედიხარ პიონერთა ოთახში?

— არ დამითვლია, მაგრამ ალბათ ხუთ-ექვსჯერ. დიდ შესვენებაზე ხშირად აქტივის კრება ტარდება და მაშინ ხომ იქა ვარ. თუ რაიმე საქმე მაქვს, მაშინაც შევდივარ. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობამ ძალიან ბევრი მომცა. უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობის გამოცდილება, ყველაზე მეტად კი — მოვალეობის გრძნობა. შეგნება იმისა, რომ რაღაცით სწორედ შენზეა დამოკიდებული მთელი რაზმეულის წარმატება, არ გაძლევს უფლებას, რაიმე ცუდად გააკეთო ან გაუკეთებელი დატოვო.

— რაზმეულის პრობლემები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— პასიურობა, უინიციატივობა. ამ ნაკლს გამოსწორება უნდა. გვინდა რაზმეულის ღონისძიებებში ყველა პიონერი ჩავრთოთ, ვიზრუნოთ, რომ თითოეული მათგანი რაიმე წრეში მონაწილეობდეს.

— პიონერული საქმე საქმეა?

— ზუსტად არც კი ვიცი, როგორ გიპასუხოთ, იქნებ სულაც გატაცებაა (ჰობიი)? მასაც, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეს, თან ახლავს თავისი ავი და კარგი, პრობლემები და გეგმები, მაგრამ ყველა საქმეს გულისყურით და გზნებით უნდა მოეკიდო. ყოფილა ისე, რომ ზაფხულში თავი დამიჭერია იმაზე ფიქრში, თუ რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ, პიონერებმა, ზამთარში. იქნებ, სწორედ ესაა საკუთარი საქმით მოგვრილი სიხარული?

— რით ხარ დაკავებული თავისუფალ დროს?

— ვკითხულობ, ვცდილობ ვწერო. ხელსაქმით ვერთობი. ცოტას ვმღერი და ცოტას ვვარჯიშობ — ეს არის და ეს. მიყვარს საგზაო ჩანაწერების, ბიოგრაფიული ნაწარმოების კითხვა. მხატვრული ლიტერატურიდან მომწონს ა. ლინდგრენისა და ჰ. პუკის წიგნები. ვწერ მაშინ, როცა დრო მრჩება. ვწერ პატარა ლექსებსა და მოთხრობებს, მათგან საუკეთესოებს „სედემეს" რედაქციაში ვგზავნი. მყავს ხუთი მეგობარი, რომელთაც მხოლოდ წერილებით ვიცნობ. მათთვის წერილების წერაშიც მიმდის დრო. კარგი წერილის წერაც ხომ ხელოვნებაა. ხელსაქმის წრეში დავდივარ იმიტომ, რომ ჩემი აზრით გოგონას უნდა შეეძლოს თავისთვის ხელთათმანებისა და წინდების ქსოვა, კაბის შეკერვა. კვირაში ორჯერ დავდივარ მძლეოსნობაზე, ასევე სიმღერის ანსამბლის მეცადინეობაზე.

ვილაპარაკეთ სკოლაზე, პიონერულ საქმიანობაზე, თავისუფალ დროზე... წრე შეიკრა. ასე გადის მისი დღეები — ერთი, მეორე მესამე. სწორედ ასე იყო მაშინაც, როდესაც შენც იულე რიიგასავით თოთხმეტი წლისა იყავი. აქ სწორედ იულეზე გიამბეთ. იგი აბიას საშუალო სკოლის ი. ლუდრის სახელობის პიონერული რაზმეულის საბჭოს წევრია. მის ცნობისმოყვარეობაზე, სიბეჯითეზე და მოქმედების სურვილზე ბევრი და ლამაზი სიტყვების თქმა შეიძლება, მაგრამ მოდით, ვთქვათ უბრალოდ — იგი ყოჩაღი პიონერია.

# „თანამოკალმეთა კლუბი"

ჟურნალ „პიონერში" ორი გვერდი სისტემატურად ეთმობა „თანამოკალმეთა კლუბს". იგი მკითხველს სთავაზობს პატარა მოთხრობებსა და ლექსებს. ამასთანავე კლუბი კლუბია მისი პირდაპირი მნიშვნელობითაც. მისი წევრობა არც ისე ადვილი საქმეა. თანამოკალმეთა კლუბის წევრებად ხდებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც გულისყურით ეკიდებიან საქმეს და სისტემატურად გვიგზავნიან კარგ წერილებს, ლექსებსა თუ მოთხრობებს, მაგრამ კლუბის წევრობამდე თითოეულმა წევრობის კანდიდატობისათვის განკუთვნილი დრო უნდა გაიაროს.

ყოველ გაზაფხულზე ტალინში ტარდება „თანამოკალმეთა კლუბის" შეკრება. ორი დღის განმავლობაში კლუბის წევრები ეცნობიან ჟურნალ „პიონერის" სარედაქციო საქმიანობას და სტამბის მუშაობას. ეწყობა კონკურსი ახალი მოთხრობის დაწერაში, მოსწავლეები ხვდებიან საბავშვო მწერლებს, ესწრებიან წარმოდგენას თეატრში. დიდი გამოცოცხლება იგრძნობა ხოლმე კლუბის ახალი პრეზიდენტისა და ხელმძღვანელობის არჩევის დროს.

კლუბის ხელმძღვანელობას ევალება უპასუხოს წერილებს, რომლებიც კლუბში შემოდის. წერილი კი ძალზე ბევრი მოდის. „თანამოკალმეთა კლუბში" ხომ მთელი რესპუბლიკის ბავშვები მონაწილეობენ.

კადრი-რუთ ალიკი,
„თანამოკალმეთა კლუბის"
პრეზიდენტი.



აფროსნობა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობა ესტონეთში.

ესტონურიდან მასალები თარგმნა მაია ჯორჯაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა








# ვიქტორინა „მეგობრობა გზად და ხიდად“

„მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ რუს და ქართველ ხალხებს. თითქმის 200 წლის წინათ დამოუყვრდნენ საქართველო და რუსეთი და თავიანთი მეგობრობა შეადუღაბეს გეორგიევსკის ტრაქტატით, რომელსაც ჩვენმა დიდმა მგოსანმა აკაკიმ უწოდა „ორთა კავშირი... კავშირი ძმური და მეგობრული“. ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით მუდამ ხედავდნენ საქართველოს სოციალისტური და ეროვნული განთავისუფლების გზას მჭიდრო ერთიანობაში რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან“.

ე. ა. შევარდნაძე

## პასუხები „პიონერის“ № 6-ში გამოქვეყნებული ვიქტორინის პირველი ეტაპის კითხვებზე

1. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში, საქართველოს კულტურული რენესანსის ეპოქაში ჩაისახა, მაგრამ თათარ-მონღოლთა შემოსევამ ხელი შეუშალა მის შემდგომ განვითარებას. ეს ურთიერთობა მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს აღდგა, ხოლო მეთექვსმეტე საუკუნიდან დაიწყო სწრაფვა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებისაკენ.

პირველი ნაბიჯი რუსეთ-საქართველოს დაკავშირების გზაზე XVI საუკუნის 80-იან წლებში გადადგეს რუსეთის მეფემ თევდორემ და კახთა მეფემ ალექსანდრემ. XVII საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფომ და საქართველოს სამეფოებმა — ქართლმა, კახეთმა და იმერეთმა არაერთი ელჩობა გაუცვალეს ერთიმეორეს.

II. 1783 წლის „სამეგობრო ხელშეკრულებას“ რომ დებდნენ, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები მას. თავიანთ სანუკვარი გეგმების განხორციელებას უკავშირებდნენ. კერძოდ, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ძლიერი მოკავშირე-მფარველის ხელშეწყობით თავს დააღწევდნენ ირანისა და თურქეთის აგრესიას, აღკვეთდნენ დაღესტნელი ფეოდალების გამანადგურებელ თარეშს, განამტკიცებდნენ მშვიდობას და ქვეყნის შემდგომ პროგრესულ განვითარებას შესძლებდნენ.

III. ტრაქტატი დაიდო გეორგიევსკის ციხესიმაგრეში. ეს იყო ორ სუვერენულ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელმაც შემდგომ დიდი როლი შეასრულა ორი ხალხის ცხოვრებაში. ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმდა 1783 წლის 24 ივლისს. ტრაქტატს რუსეთის მხრივ ხელს აწერდა გენერალი პაველ პოტიომკინი, ქართლ-კახეთის მხრივ — ივანე მუხრანბატონი და გარსევან ჭავჭავაძე. ტრაქტატი მეფე ერეკლე II-ს მიერ რატიფიცირებულ იქნა 1784 წლის 24 იანვარს.

IV. ტრაქტატი შედგებოდა 13 ძირითადი და 4 სეპარატული (საიდუმლო) მუხლის ანუ არტიკულისაგან. ამ ტრაქტატის საფუძველზე მეფე ერეკლე II აღიარებდა რუსეთის უზენაეს მფარველობას, უარს ამბობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებაზე; ვალდებულებას კისრულობდა მონაწილეობა მიეღო ომებში რუსეთის მხარეზე. სამაგიეროდ, რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II პირობას დებდა მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის მეფეებისათვის, გარანტიას იძლეოდა, რომ შეუნარჩუნებდა ერეკლე II-სა და მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტს, სამფლობელოებს და საქართველოს მის ისტორიულ საზღვრებში აღადგენდა. რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა საქართველოს მტრები საკუთარ მტრებად ეცნო, არ ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში და აეკ-

ვიქტორინის მეცნიერული კონსულტანტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი პაიჭაძე.

რძალა თავისი სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებისათვის საქართველოში რაიმე განკარგულების გაცემა.

გეორგიევსკის ტრაქტატს დეკლარაციის ხასიათი ჰქონდა, ურთიერთსიმპათიას ამჟღავნებდა და როგორც „სამეგობრო ხელშეკრულება", აღიარებდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენულ უფლებებს.

V. გეორგიევსკის სიმაგრე აშენდა 1777 წელს, რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომის შემდეგ. თავდაპირველად იგი აზოვ-მოზდოკის გამაგრებული ხაზის ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ეს სიმაგრე 1779 წელს შეამოწმა დიდმა რუსმა მხედართმთავარმა ა. ვ. სუვოროვმა.

გეორგიევსკში იყო კავკასიის ხაზის სარდლის შტაბ-ბინა. ამ ქალაქზე გადიოდა საფოსტო ტრაქტატი, რომელიც კავკასიას რუსეთის ცენტრთან აერთებდა.

ქალაქ გეორგიევსკის ძველ კარიბჭესთან მდინარე პოდკუმოკის ნაპირზე დღესაცაა შემორჩენილი ციხესიმაგრის ფრაგმენტები.

VI. ამ სტრიქონების ავტორია გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და პოეტი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე მეფე ვახტანგ VI. დიდია ვახტანგ VI-ის როლი საქართველოს ისტორიაში, ქართული კულტურის განვითარების საქმეში. მას განსაკუთრებული პოლიტიკური დაძაბულობის დროს მოუხდა მოღვაწეობა. მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქვეყნის განთავისუფლებას ყიზილბაშ და ოსმალო დამპყრობლებისაგან. მის სახელთანაა დაკავშირებული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში გარკვეული წარმატება, საქართველოს ისტორიის შესწავლა-გაშუქების აღორძინება, ქართული სამართლისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო წესდების დამუშავება, არაერთი პოეტური ნაწარმოების შექმნა, ჰუმანური იდეალების, კაცთმოყვარეობისა და სასარგებლო საქმიანობის ქადაგება და სხვა.

სამწუხაროდ, ვახტანგ VI-მ თავის ძირითად მიზანს ვერ მიაღწია. ურიცხვ გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლაში იგი დამარცხდა და იძულებული შეიქნა სამშობლოს გასცლოდა. ვახტანგ VI ოჯახითა და დიდი ამალით რუსეთში გადასახლდა.

ეს იყო ტრაგიკული პერიოდი საქართველოს ისტორიაში. ვახტანგ VI-ის ცხოვრებამ დაადასტურა, რომ იმდროინდელი საქართველოს სისუსტე ქვეყნის შიგნით წარმოებული ძლიერი შინაფეოდალური ომებით იყო გამოწვეული.

მეფე ვახტანგ VI გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომლის მთელი ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადების ნათელი მაგალითია.

VII. მე-16 საუკუნეში ამიერკავკასია ირანისა და ოსმალეთის გააფთრებული ბრძოლის ასპარეზად იქცა. მომხდურთა მიზანი იყო ამიერკავკასიის ხალხების დამონება. ისინი ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს საქართველოს დაახლოებას ერთმორწმუნე რუსეთთან, რადგან იცოდნენ, რომ ეს მათ დამპყრობლურ გეგმებს ჩაფუშავდა. დამპყრობთაგან დევნილი პროგრესული ქართველი მოღვაწეები იძულებული ხდებოდნენ სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ და თავშესაფარი რუსეთში ეძებნათ. ასე ჩაისახა მოსკოვის ქართული კოლონია. მას საძირკველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, ნიკოლოზ დავითის ძის (შემდგომ ერეკლე I) და არჩილ II-ის დროს.

ქართველთა დასახლების ცენტრს წარმოადგენდა სოფელი ვოსკრესენსკოე, ამჟამად მეტროს სადგურ „სოკოლის" მიდამოები.

მოსკოვის ქართული კოლონია მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთში ვახტანგ VI-ის მრავალრიცხოვანი ამალით გადასახლების შემდეგ. ქართველ ემიგრანტებს რუსეთის მთავრობამ სარჩო დაუნიშნა, ხოლო 1729 წელს ვახტანგ VI-სა და მისი ამალის წევრებს მოსკოვის მახლობლად, მდინარე პრესნიასთან მდებარე სოფელი ვოსკრესენკოე უბოძა. მათ გამოუყვეს საჭირო თანხა და [illegible] სახლების მშენებლობისათვის. წარმოიშვა ამ უბანში ქართველთა ახალშენი. ამჟამად ეს დღევანდელი მოსკოვის ის უბანია, სადაც „ბოლშაია გრუზინსკაიას" და „მალაია გრუზინსკაიას" ქუჩები მდებარეობენ.

მოსკოვში ქართული კოლონიის დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომი კულტურული და პოლიტიკური დაახლოების საქმეში.

VIII. ამ სტრიქონების ავტორია დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს მამად" წოდებული სულხან-საბა ორბელიანი, ავტორი ორიგინალური დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებისა — „სიბრძნე სიცრუისა".

მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მეფე ვახტანგ VI-ის აღზრდაში.

1713-1716 წლებში სულხან-საბა ორბელიანმა პარიზსა და რომში იმოგზაურა საგანგებო მისიით. იგი საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს და რომის პაპს კლიმენტი XI-ს წარუდგა და საქართველოსთვის დახმარება ითხოვა. ამაოდ დაშვრა დიდი მწერალი და მამულიშვილი: თუმცა უცხოეთში დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრეს შინ.

სულხან-საბა ორბელიანი ავტორია სწორუპოვარი „ქართული ლექსიკონისა", რომლის შექმნას მან თითქმის 40 წელი შეალია. ეს ლექსიკონი იმდროინდელი ენციკლოპედიური ცოდნის ნამდვილი საღაროა. იგი დღესაც სამაგიდო წიგნია.

IX. პირველი ქართული ტექსტით ნაბეჭდი წიგნია ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც 1629 წელს დაიბეჭდა რომში. ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორები იყვნენ იტალიელი პატრი სტეფანე პაოლინი და იტალიის ქალაქ ასიზის წმინდა ბასილის წესის ბერი, კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ელჩი ევროპაში ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, რომელიც ნიკიფორე ირბახის სახე-

ლით იყო ცნობილი უცხოეთში. იგი თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. მას იცნობდნენ როგორც ჭკვიანსა და გამოცდილ დიპლომატს, რომელსაც პოლიტიკური მისიით თითქმის მთელი ევროპა ჰქონდა შემოვლილი; იცნობდნენ, როგორც მსხვილ საეკლესიო თანამდებობის პირს, განათლებულს, მრავალი ენის მცოდნეს. მან 1643 წლიდან 1649 წლამდე დაჰყო იერუსალიმში. ქართული საეკლესიო და კულტურული ცხოვრების ცენტრში — ჯვრის მონასტერში, სადაც დიდად იღვაწა ამ ქართული მონასტრის საკეთილდღეოდ, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქი გახდა.

X. თბილისში სტამბა პირველად მეფე ვახტანგ VI-მ დააარსა 1709 წელს, რითაც ქართული კულტურის დიდი მოღვაწის საუკუნო სახელი დაიმკვიდრა.

ვახტანგ VI-მ სტამბისათვის სასახლის მახლობლად სპეციალური შენობა ააგო ანჩისხატისა და სიონის ტაძრის შუა მდებარე ფართობზე, ხოლო მესტამბე-სპეციალისტი ვლახეთიდან ჩამოიყვანა. ეს იყო მიხაილ იშტვანოვიჩი, რუმინეთის გამოჩენილი მოღვაწის, წარმოშობით ქართველის, ანთიმოზ ივერიელის მოწაფე.

ამ სტამბაში დაიბეჭდა, როგორც სასულიერო წიგნები, ისე სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებიც მაღალ დონეზე იყო შესრულებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ სტამბაში 1712 წელს პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". ამავე დროს ეს იყო „ვეფხისტყაოსნის" მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. რედაქცია და კომენტარები თვით ვახტანგ VI-ს ეკუთვნოდა.

1937 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, აკადემიკოს აკაკი შანიძის თაოსნობით „ვეფხისტყაოსანი" დაიბეჭდა იმ სახით, როგორც იგი 1712 წელს დაისტამბა.

1975 წელს, ვახტანგ VI-ის დაბადების 300 წლისთავზე „ვეფხისტყაოსნის" პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წლისა და აღდგენილი 1937 წელს აკადემიკოს ა. შანიძის მიერ, ხელმეორედ გამოიცა ფოტორეპროდუქციული გამოცემის სახით.

## მეორე ეტაპის კითხვები:

I. „...ახლა უკვე პირიქით იყო დაქსაქსულ და მიძალებულ საქართველოს მიწა-წყალი. კერძოდ, კახეთი, ცივ-გომბორი, ალაზნის ველი, ალავერდის დიდი ტაძარი... იქ იყო, იმ „თეთრ ოცნების" მიღმა... ხოლო მისი შვილნი კი ზურგშექცევით შორს, ჩრდილოეთისაკენ მიდიოდნენ, სამშობლოს ერთიანობისა და ხსნის საძიებლად..."

ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი? რომელი ნაწარმოებიდანაა? რა მომენტია აქ აღწერილი?

II. რა იცით 1724 წლის ქართული ემიგრაციის შესახებ? გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთაგან ვინ იყო ემიგრანტთა შორის?

III. როდის დაარსდა ქალაქი ასტრახანი? რა როლი შეასრულა ამ ქალაქმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საქმეში?

IV. რა იცით ასტრახანის კრემლის შესახებ?

როდის აშენდა ასტრახანის მიძინების ტაძარი? ვინ არის მისი ავტორი?

გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთაგან ვინ არის აქ დაკრძალული და როდის?

V. ვინ შემოესია საქართველოს 1795 წელს?

VI. ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებად დაქუცმაცებული საქართველო რუსეთს ნაწილ-ნაწილ და სხვადასხვა დროს შეუერთდა. როდის დაიწყო და როდის დასრულდა ეს პროცესი?

VII. ვისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა მეფის მთავრობის პოლიტიკა კავკასიაში?

VIII. „... გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა, თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება, მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება".

ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი?

IX. „...ყველას, დიდიდან პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერსა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან".

ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი? რომელი ნაწარმოებიდანაა? როდის დაიწერა იგი?

X. „... არ ვიცი, არის თუ არა კავკასია შთაგონების ქვეყანა, მაგრამ იგი უეჭველად სიყვარულის ქვეყანაა".

ვის ეკუთვნის ეს სტრიქონები? როდის დაიწერა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გივი თათეიშვილი**

## ვაჟას წყაროსთან

შინდისფერ ჩოხით მთაზე
ჩამომჯდარ
გაბადრულ მთვარეს
კოცნიდა თელა.
შარას მოერთხა ფეხი
წყაროსთან,
და ისველებდა ჩრდილის
თხელ პერანგს.

შორს, ჩიტის ბუდე თუშურ
ქუდივით
კოხტად მოერგო ცაცხვს
კენწეროზე
და... აწვალებდა ერთი
სურვილი —
სიმღერა ეთქვა
საქართველოზე.

**ავთანდილ მეგრელიშვილი**

## წვიმის შემდეგ

წვიმის შემდეგ მზე გამოჩნდა,
მოკაშკაშე, მოსხივარი.
ისე დაცხა, ნამი გაქრა,
მიწას ასდის ოხშივარი.
მიწის სუნი მეფობს ირგვლივ,
ჭიკჭიკს ვისმენთ წარამარა,
ჰაერია ისე სუფთა,
შვებით სუნთქავს არემარე,
დღის ნათელი გვახალისებს,
ძალით გვავსებს, გვაიმედებს...
თუ გული გაქვს, საიმქვეყნოდ
ჭიასაც არ გაიმეტებ!

## შემოდგომა

ვაზზე დაშაქრდა ყურძენი,
ჭიგო-მავთულზე გაკრული.
შრომა-გარჯით მოწეული,
რთველი მოვიდა ნატრული.
უქმად ვერ ნახავთ, ვისაც კი
საქმე გამოსდის ხელიდან.
ბადაგი მოჩქეფს, ვით წყარო,
პირლია საწნახელიდან.
ივსება ხახაგამშრალი
უზარმაზარი ქვევრები.
სახლებში ჭერი დაზნიქეს,
რჩეულ-რჩეული მტევნებით.
მიდამო ბრწყინავს, ნათელი
სხივებით შემოგარსული.
უხვი მოსავლით ზეიმობს
სოფელი ზვარში გასული!

## რთველის სურა, სურა!

მაჭრის სუნით მარანი
გაუჟღენთავს რთველს.
ნამთვრალევი კაცივით
საწნახელი თვლემს.
შორს, მწვერვალებს ზამთარი
ახალ თოვლით რთავს.
ცივი ქარი — აფთარი
ძარცვავს ფერად მთას...
კმაყოფილი შევცქეროდით,
შემოდგომის ცას...
აწი თეთრმა ზამთარმა,
რამდენიც სურს, ცრას!



**ლელა ციოთაძე**

## ჩანჩქერი

მორცხვი ვერცხლის ტირიფები
იგრილებდნენ ფეხებს წყალში,



მოდიოდა გაზაფხული
საოცარი ცეცხლის რაშით.
და ზღაპრების მწვანე სახლთან
იდგა ხალხი გრძელ რიგებად,
გაზაფხული შინდის ჯოხით
სასწაულებს არიგებდა.

## ზამთარი

ქარია გარეთ სიბრაზით სავსე,
და ფაიფურის თეთრი გედები
მოიჩქარიან დაბლა — მიწაზე
რაღაცნაირი თავგამეტებით.

და გამოუთქმელ წუხილს და
ნაღველს
გადაუხსნია ზეცის კარები,
დგას ყინვა ფეხზე — დიდი
მეარღნე —
ძველი სიმღერით და საკრავებით.

## დღეები ოქროსფერი

დღეებია ოქროსფერი,
კუნელების ძველი შფოთით,
ჩამოივლის ოქტომბერი
ქარვის დიდი მარათონი.
მონატრება ისევ მოვა,
ვჩურჩულებ და მაინც მიკვირს
გაჩერება — შემოდგომა,
ოქროსფერი ზანზალაკით.
ვესიზმრუბი წარამარა,
ბებერ მუხებს, ხანჯლიანებს,
ქარი — ძველი მაწანწალა —
ქარვის დღეებს აჩხრიალებს.
ყველაფერი ისევ მოვა,
რასაც გულით ვატარებდით,
გაჩერება — შემოდგომა,
ოქროსფერი მატარებლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა შინ რაიმეს დახაზვას განიზრახავ, ხშირად წამოიჭრება მაგიდაზე სახაზავი ქაღალდის დამაგრების პრობლემა. საამისოდ ჭიკარტი არ გამოგადგება, რადგან მაგიდის ზედაპირს დააზიანებს. ყველაზე იოლია ქაღალდის კუთხეების დამაგრება წებოვანი ლენტის ან ლეიკოპლასტირის ნაჭრებით.

თუ შესაკეთებელი ფეხსაცმლის ტყავის ლანჩას ხელოსანმა რეზინის ნაჭერი მიაწება, ძგიდეები 45° დახრილობით შემოაჭერი — არც რეზინი მოსძვრება დიდხანს და ვერც ვერავინ შეამჩნევს, რომ ფეხსაცმელი შეკეთებულია.

ხეხილის აყვავების წინ, როცა ფოთლები იშლება, ტოტებზე კარგად ჩანს მუხლუხის ბუდეები. შეგიძლია ისინი შხამქიმიკატების გამოუყენებლადაც მოხსნა. აიღე გრძელი მსუბუქი წნელი და მას ბოლოზე ფოლადის გვარლის დაცარული ნაჭერი მიამაგრე. მიიღებ დრეკად ცოცხს, რომლითაც ტოტს იოლად მოაშორებ მავნებლის ბუდეებს.

თუ ქილისათვის პოლიეთილენის ხუფის მოხსნა გიჭირს, ხუფზე პატარა ქვაბი დადგი და შიგ ცხელი წყალი ჩაასხი. წუთნახევარში ხუფი დარბილდება და იოლად მოიხსნება.

წიგნს თუ ყუა შემოაცვდა, ფურცლებად რომ არ დაიშალოს, შეგიძლია ასე დაამაგრო: ყუა ბეწვახერხით რამდენიმე ადგილას ოდნავ ჩაჭერი, ჩანაჭერში გაწებილი მომსხო ძაფი ჩაამაგრე და წიგნი აღარ დაიშლება.















# სარჩევი

ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის პროგრამა... გარეკ. 2
რ. აბაშელი — წიგნებული არავინ დარჩენილა (წერილი) . . . 10
ვ. გოგოლაშვილი — ჭინკების ბრიგადა (მოთხრობა, დასასრული) . . . 13
ჩვენი სტუმარია ესტონეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერი" . . . 20
ვიქტორინა „მეგობრობა გზად და ხიდად" . 24
გ. თათეიშვილი — ბუის წყაროსთან (ლექსი) . 27
ა. მეგრელიშვილი — წვიმის შემდეგ; შემოდგომა; რამდენიც სურს, ცრას! (ლექსები) . . 27
ლ. თოთაძე — ბავშვობა; დღეებია ოქროსფერი; ზამთარი (ლექსები) . . . . . . 27
აისი . . . . . . 28
ო. შუდრა — როგორ ვიმუშაოთ წიგნზე (წერილი) 29
არნ. გეგეჭკორი — ცოცხალი არქიტექტურის სამყაროში (წერილი) . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . 31
საინტერესო სიახლენი . . . . . 31
გამოგადგება . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3
ფოკუსის მილმა . . . . გარეკ. 3

გარეკანის პირველ გვერდზე ედუარდ ამბოკაძის ნახატი. „ფერმაში".

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ხოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ დარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 20. 08. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 11. 82 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 2055, ტირ. 150.000 ეგზ. უე 782.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 150 000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1982 წ.

## გამოცანები

იშვიათად, სხვა ასეთი
ჰპოვო მეგობარი:
მოისურვებ — ხმალია და
მოისურვებ — ფარი.

ხელს ჩაგავლებს, შენთან ერთად
შორ ქვეყნებში გასწევს,
მოინდომებ — პოლუსზე ხარ,
მოინდომებ — მარსზე.

შეუძლია აგიხდინოს
ყველა დანაპირი.
ჩაიფიქრებ — მეფე ხარ და
ჩაიფიქრებ — გმირი.

როცა გინდა, შინ მშობლების
საყვედური აგცდეს,
შენს ღლიურში სამიანებს
ხულ ხუთებად აქცევს.

ბუს არწივად მოგაჩვენებს
ხოლო სპილოს — კოღოდ...
ყველაფერი შეუძლია,
მოისურვე ოღონდ.

საშოვრად ღამით გამოდის —
მაგრამ არ არის ბუ.
თან დააქვს ჯავშნის სახახლე —
მაგრამ არ არის კუ.
რქები აქვს გადაგრეხილი —
მაგრამ არ არის თხა...
თუ არც ის არის, არც ისა,
რა უნდა იყოს სხვა?

მხოლოდ ერთი შემოხედვით —
არა დიდი გარჯით —
მარცხენა ყურს მოგაცლის და
გამოგაბამს მარჯვნით.

თმა თუ აქეთ გადაიწყვე,
იქით გადაგვარცხნის,
მარჯვენა ხელს მოგაძრობს და
გამოგასხამს მარცხნივ.

გაუღიმებ, და თვითონაც
ღიმილს შეგაგებებს...
ყველა ბავშვის სახლში
ცხოვრობს,
გამოიცნო ეგებ.

ბ. რუსაიძე



## შარადები

მაყალზე ნელა ტრიალებს,
მასზე კი მწვადი იწვება, —
თუკი იმ მარცვალს მოაკლებ,
რომლითაც სიტყვა იწყება,
მაშინ მეწველი ცხოველის
სახელად გადაიქცევა.

საწყისად ორლიტრიანი
თიხის ჯურჭელი გჭირდება.
ოლონდაც მისი სახელი
მეოთხე ბგერით მცირდება.
ანბანის ოცდამეხუთე
ასო კი თავში დაჯდება.
პასუხად კავკასიონის
მწვერვალი ალიმართება.

შ. ამირანაშვილი

## პასუხი № 9-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### თავსატეხი

სექტორებში ციფრები 1-დან 25-მდე უნდა ჩაიწეროს ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.





### აბა სცადეთ!

სწორკუთხედი ორ თანაბარ ნაწილად ასე იყოფა.

### რომელია ზუსტი?

ზუსტად მუშაობს № 5 საათი. № 1 საათი დღე-ღამეში ზუსტ დროსთან შედარებით ერთი წუთით წინ მიდის, № 2 — 2 წუთით, № 3 ერთი წუთით უკან მიდის, № 4 საათი კი — ორი წუთით.

### კროსვორდი

თარაზულად: 1. ტბა; 3. ძაუ; 5. ოში; 9. დანიბეგაშვილი; 12. რიგა; 13. ურავი; 14. არხი; 21. ბალატონი; 22. კატმანდუ; 28. პიაი; 29. ჰავრი; 30. ცეცე; 33. პოპოკატეპეტლი; 34. ლოო; 35. ბია; 36. ლია.

შვეულად: 2. ბელგრადი; 4. აზია; 6. შოვი; 7. ტაიგა. 8. ფლორა; 10. ერი; 11. ყიუ. 15. ჰაობი; 16. ალტაი; 17. ობი; 18. ილი; 19. ონი; 20. ბუი; 23. ეკვატორი; 24. აპო; 25. ჰანოი; 26. სეული; 27. გეო; 31. ტოგო; 32. ქედი.

### შარადები

დურბინდი; კოდალა.




ფოკუსის შემსრულებელი მაყურებლებს უჩვენებს ჩვეულებრივ სპეჭრ ბადეს, გადმოაპირქვავებს მას, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ ბადე ცარიელია, ბოლოს მაგიდასთან მიდის და ბადიდან მთელ ლარნაკ კანფეტს გადმოყრის.

ფოკუსის საიდუმლოება საჭერი ბადის მოწყობილობაშია. ბადეს აქვს მოძრავი ტიხარი, მისი ფუძეა ლითონის ნახევარრგოლი, რომლის დიამეტრი ბადის რგოლის დიამეტრის ტოლია. მასზე მიკერებულია ზუსტად ისეთივე ქსოვილი, როგორიც აქვს ბადეს. ნახევარრგოლი მკვეთრად არის მიმაგრებული ბადის ტარიანი სახელურის ღრუში მოთავსებულ ლითონის ღეროსთან.

ნახატი ა. ზახაროვისა

როცა ყველას უჩვენებ, რომ ბადე ცარიელია და შიგ ერთ კანფეტს ჩააგდებ, ტარი 180°-ით მოატრიალე — ნახევარრგოლი ქსოვილის სარქველიანად მოტრიალდება და გაიხსნება მეორე ბადე, სადაც წინასწარ კანფეტები იყო დამალული.

ემილ კიო

## ფოკუსის მიღმა

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.
ეროვნული ბიბლიოთეკა





## ესტონელი ბავშვების ნახატები

▲ ელექტრიკოსი.
რაიკო მიალკი, VII კლასი.

▲ ახალი სახლის მშენებლობაზე.
სვეტლანა მიხაილოვა. IV კლასი.

▼ ხატვის წრის მეცადინეობა. ტერიე ოიასალუ VI კლასი

